№6 (27) ივნისი, 2002 ფასი 1 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტიელი

სპორტული ჟურნალი



3 სოსო კოტორეიშვილი
უზიდანო საფრანგეთი? რა სალაპარაკოა!

6 სოლომონ გულისაშვილი
პირველად იყო...

8
ატმოსფეროები

10 ჰაჰუნა კედია
კაცი, რომელიც ჭიანჭველამ შეაშინა

13 გიორგი დარჯანია
რეალი გლაზგოს მეფეა

18 ვანო ოძროპირიძე გერმანიიდან
ცრემლების ჰეთ-თრიქი

22
MONEY, MONEY, MONEY

23 ჰაატა კვანტალიანი
ფინალი მკვლელობის თანხლებით

24 მამუკა კვანტალიანი
ის იგივეა მარად და მარად

26 მამუკა კვანტალიანი
მთავარია სამზარეულო

REUTERS

14-15 გვერდი. მადრიდის „რეალი“, 2002 წლის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული. REUTERS

I 31 მაისი. სეული. საფრანგეთი — სენეგალი. სენეგალელები პაპე ბუბა დიოპის (№ 19) გოლს ზეიმობენ. REUTERS

II 31 მაისი. სეული. გახსნის ცერემონიალი. REUTERS

III 2002 წლის საქართველოს თასის მფლობელი თბილისის ლოკომოტივი. გურამ დოლენჯაშვილი

IV 2002 წლის საქართველოს ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედო“.

რედაქტორი ილია გაგუნაშვილი
რედაქტორის მოადგილე სოლომონ გულისაშვილი
ტექნიკური რედაქტორი რუსუდან დარსაველიძე
სტილისტი ცისანა ნიკოლაიშვილი
ოპერატორი ელენე გელუტაშვილი

მრჩეველთა საბჭო:
ვახტანგ ბზიკაძე, მამუკა გუბელაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ემზარ ზენაიშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ზურაბ ფოცხვერია

გაზეთ სარგებელის დამატება

რეკლამა ჟურნალ «სარგებელში» — 93 16 08

REUTERS

სირცხვილი და თავის მოჭრა: ბუბა დიოპს ნაქები ფრანგების კარში გამარჯვების გოლი გააქვს

უზიდანო საფრანგეთი? რა სალაპარაკოა!

სოსო კოტორეიშვილი

იჯდა და ელოდა: ზინედინ ზიდანი ამაოდ იმედოვნებდა, რომ მისი მეგობრები თამაშის გადაარჩენდნენ

REUTERS

გავბედავთ და ვიტყვით: მსოფლიოს ჩემპიონატი ის სარკეა, რომელიც ცხადად წარმოაჩენს ხოლმე ამა თუ იმ ფეხბურთელის ავკარგიანობას.

გავთამამდებით და მოგახსენებთ: 31 მაისს, კორეა-იაპონიაში დაწყებულმა მსოფლიოს ჩემპიონატის გახსნის მატჩმა კიდევ ერთხელ დაადასტურა — ფრანგი ზინედინ ზიდანი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია. ეგ როგორო? იკითხავს გაკვირვებული ქომაგი და მართალიც იქნება.

ზინედინ ზიდანი „სეულ უორლდ ქაფ სთედიუმის“ მინდორზე წამითაც კი არ გამოჩენილა და ოდენ სათადარიგოთა სკამიდან უცქირა სენეგალელთაგან საკუთარი გუნდის შერცხვენის ამბავს.

მაგრამ საქმეც ისაა, რომ სწორედ ზიდანის უთამაშებლობამ კიდევ ერთხელ გვაფიქრებინა მისი მსოფლიოში საუკეთესობა.

ეს ჩვენი სუბიექტური მოსაზრება, გარწმუნებთ, მყარი არგუმენტებითაა ჩაკირული და ქვემოთ მისი თქვენთვის გაზიარების მცდელობასთან ერთად, აზიური მსოფლიოს თასის პირველ მატჩზე, საფრანგეთ—სენეგალზეც მოგახსენებთ, მით

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS



REUTERS

თითქოსდა პარადოქსია: სეულის „უორლდ ქაფ სთედიუმზე“ ფრანგ გულშემატკივრებს ცხვირ-პირი ჩამოსტირიროდათ, სენეგალელებს კი ზეიმის წუთები ედგათ

უფრო, ზიდანი, საფრანგეთი და მსოფლიოს მე-17 ჩემპიონატი ცალ-ცალკე წარმოუდგენლად გვეჩვენება. საზოგადოდ, ეგრეთ წოდებული გახსნის მატჩები ერთობ ხათაბალა რამაა, ისეთი, ფავორიტები, ანუ მოქმედი მსოფლიოს ჩემპიონები უმეტესად თავჩახრილნი რომ ტოვებენ მოედანს. დასტურად, 1990 წლის მუნდიალის პირველი თამაშიც გამოდგება — კამერუნელი ომამ ბიიკის შავმა თავმა მარადონას არგენტინა საქვეყნოდ გააწითლა. ალბათ, ამიტომაც იყო, სეულში გასამართ საფრანგეთ — სენეგალის მატჩის წინ ქომაგთა და სპეციალისტთა უმეტესობა გულის კუნჭულში მეჩვიდმეტე მუნდიალის სენსაციურ დასაწყისზე რომ ფიქრობდა. აფრიკელებს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონთა მწვრთნელი, როჟე ლემერიც პატივისცემით მოიხსენიებდა, მაგრამ მისი ერთგვარი დიპლომატიური ტონი რეალურს მას შემდეგ უფრო დაუახლოვდა, როცა ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე ფრანგთა გულმა, ტვინმა, ძარღვმა თუ, რაც გნებავთ უწოდეთ, ზინედინ ზიდანმა კუნთი გაიწყვიტა და სენეგალთან მისი თამაში გამოირიცხა.

„ზიდანი დიდი ფეხბურთელია, მის გარეშე ძალიან გაგვიჭირდება, მაგრამ თამაშს ერთი კაცი ვერ მოიგებს. საფრანგეთის ნაკრებში უმაღლესი დონის ფეხბურთელები თამაშობენ. მჯერა, უზიდანოდაც გავალთ ფონს —თქვა სასტარტოში ადგილ-

REUTERS

REUTERS

REUTERS

REUTERS

ნიცაში ლაჟვარდოვანი სანაპიროს დამსვენებლებს საფრანგეთის დამარცხება, ალბათ ძალიან არ განუცდიათ

REUTERS

ნაპოვნმა იური ჯორკაეფმა და სენეგალის წინააღმდეგ სათამაშოდ, „ლურჯთა“ 6-ნომრიანი მაისურა მოირგო.

ვიდრე ჯორკაეფთან ერთად, ფრანგი ფეხბურთელები გასახდელში სათამაშოდ ეწყობ-ემზადებიან, მათ მეტოქე, სენეგალზეც ვთქვათ: 90-იან წლებში ფრანგულ კლუბებში თავგამოჩენილ მოთამაშეებს თვალი ევროპის ბობოლა გუნდებმა დაადგეს და დაადგნენ ინგლის-იტალია-ესპანეთის გზას ზიდანი, ვიეირა, ანრი, ტრეზეგე, ბარტეზი, ბლანი, პეტი...

მათგან გამოთავისუფლებული „ზონები“ ფრანგულმა გუნდებმა, სხვებთან ერთად, ნიჭიერ, ფეხმარდ და ჯანიან სენეგალელებს ანდეს და გაჩნდნენ ელ-ჰაჯი დიუფი, ტონი სილვა, ფერდინანდ კოლი და სხვები და სხვები. მერე ამ ტალიკ-ტალიკ ბიჭებს სანაკრებოდ ფრანგმა ბრუნო მეტიუმ უხმო, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი წარმატებით დააძლევინა და ბედმა ინება, კორეა-იაპონიის მუნდიალის გახსნის მატჩზე ერომანეთს საფრანგეთიდან აბარგებულები და საფრანგეთში ჩაბარგებულები დაუპირისპირა. ოღონდ არ დაგვავიწყდეს უმთავრესი: მათმა შეხვედრამ უზიდანოდ ჩაიარა.

ყველაფრის მომგები ევროპელები არაფრის მომგებ აფრიკელებთან დამარცხდნენ, ზემონახსენები გულის კუნჭულში ნაფიქრი სეულის სტადიონის ტაბლოზე 0:1-ით გამოიხატა.

ალასან ნდური რომ პატრიკ ვიეირას ხელ-ფეხს შეუბოჭავდა, ვინ წარმოიდგენდა

ერთ მხარეს იყო უდიდესი გამოცდილება, მაღალი საშემსრულებლო კლასი, ამავ დროს, უღონობა და ქანცგაწყვეტა, მეორე მხარეს ჟინი, ღონე და ფრანგული გამოცდილება. მეორემ აჯობა პირველს და ამას მოედნის კიდიდან უცქერდა კაცი, რომელსაც შეეძლო მატჩის პირუკუ შეტრიალება — სათადარიგო სკამზე იჯდა კუნთგაწყვეტილი ზიდანი, რომლის ერთი საგოლე პასი, ერთი მოჭრილი საჯარიმო, ფეხების ერთხელ დაბლანდვა, როჟე ლემერის ფავორიტად შერაცხულ გუნდს სულს ჩაუდგამდა.

არ იყო ზიდანი და არ იყო საფრანგეთი. მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოცნებეთ სალაპარაკო მიეცათ. უზიდანო საფრანგეთი? რა სალაპარაკოა!

არა მხოლოდ ფეხბურთით: დავიდ ტრეზეგე მეუღლე ბეატრისთან ერთად წაგებული მატჩის მერე სეულის რესტორანს ეწვია, ხოლო ულსანში ბრაზილიურ ტორსიდას სამბა გაუჩაღებია

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახსნის მატჩს, მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ შეხვედრას, თავისი პენი და დატვირთვა აქვს. ეგებ ხშირად ამოდ საცქერი არც იყოს, მაგრამ ის ხომ დიდი დღესასწაულის დასაწყისია და ამიტომ გულშემატკივარს არასოდეს ავიწყდება. ასეთი მატჩები თითქოს ოთხწლეულის შემაკავშირებელია, ოთხწლეულისა, რომელიც ერთ ზეიმს მეორეს აშორებს.

აი, კორეა-იაპონიის მუნდიალიც მოულოდნელი შედეგით გაიხსნა. ჩვენ კი ერთხელაც გადავავლოთ თვალი, როგორ იწყებოდა წინა ტურნირები. გავიხსენოთ, რომ ყველა ჩემპიონატს არ ჰქონია „გახსნის" შეხვედრა. მაგალითად 1934 წელს შეჯიბრება მერვედფინალით დაიწყო და ყველა თამაში პირველსავე დღეს ჩატარდა, მსგავსი რამ მოხდა 1954, 1958 და 1962 წლებში. 1966-იდან კი ზედიზედ ოთხი მუნდიალი მოსაწყენი 0:0-ით დაიწყო (66-ში ინგლისი-ურუგვაი, 70-ში მექსიკა-სსრკ, 74-ში ბრაზილია-იუგოსლავია, 78-ში გფრ-პოლონეთი). მაგრამ ყველაფერი შედარებითია და ამიტომ ჩვენც „გახსნებიდან" ყველაზე საინტერესო ამბები გავიხსენოთ.



ურუგვაიში ჩემპიონატი შეჯიბრების მეხუთე დღეს გაიხსნა

პირველად იყო...

სოლომონ გულისაშვილი

1930 მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში პირველი მატჩი 1930 წლის 13 ივნისს მონტევიდეოს „პოკიტოსის" სტადიონზე გაიმართა და ურუგვაის დროით დღის სამ საათზე დაიწყო. თუმცა, რაოდენ პარადოქსულიც უნდა გვეჩვენოს, ეს არ იყო გახსნის მატჩი. საზეიმო ცერემონიალი ხუთი დღის შემდეგ ურუგვაი-პერუს შეხვედრის წინ გაიმართა. საქმე ის გახლდათ, რომ ტურნირის ორგანიზატორებს სურდათ ზეიმი 18 ივნისისთვის, ურუგვაის რესპუბლიკად გამოცხადების 100 წლისთავისთვის დაემთხვიათ. სწორედ ამიტომ მოხდა ასე. ურუგვაი-პერუს მატჩის დროს ლეგენდარული „სენტენარიოს" სტადიონიც გაიხსნა. თამაში კი დიდი ვერაფერი საცქერი გამოდგა და მასპინძლებმა ცალხელა ექტორ კასტროს ერთადერთი გოლით გაიმარჯვეს.

13 ივნისს კი „პოკიტოსზე" 3 ათასი მაყურებელი შეიკრიბა და ფრანგების მექსიკასთან 4:1 გამარჯვების მოწმე გახდა. მექსიკელებს შვიდი ისეთი ფეხბურთელი ჰყავდათ, ეროვნული გუნდის მაისურა პირველად რომ მოერგოთ დე მწვრთნელი ხუან ლუკე და სარალონგა ამ გამოუცდელობის ანაზღაურებას თავდადებითა და პატრიოტიზმით ცდილობდა. მოთამაშეებს, რომელთა უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარი იყო, მან მექსიკის ჰიმნიც კი ასწავლა, მაგრამ მეტად განსწავლულმა ფრანგებმა მაინც იოლად მოიგეს. პირველი გოლი მე-12 წუთზე „სოშოს" ლუსიენ ლორანმა გაიტანა. მალევე მექსიკელთა შეტევას ფრანგთა მეკარე შეეწირა, ალექსის ტეპო თავდამსხმელ „ნიო" მეხიას ფეხებში ჩაუვარდა და მინდვრის დატოვება მოუხდა. კარში მცველი ოგუსტენ შანტრელი ჩადგა, თუმცა ამას ფრანგებისთვის ხელი არ შეუშლია, როცა შესვენებაზე სასულე ორკესტრი ორი ქვეყნის ჰიმნებს ასრულებდა, ანგარიში 3:0 იყო, საბოლოოდ კი პლატინი-ზიდანის წინაპრებმა 4:1 გაიმარჯვეს.

1938 ტურნირი მერვედფინალებით დაიწყო და მათგან პირველი შვეიცარია-გერმანიის მატჩი იყო 4 ივნისს პარიზში, „პარკ დე პრენსის" სტადიონზე. ამავე წლის მარტში ჰიტლერის ფაშისტურმა არმიამ ავსტრია დაიპყრო და გერმანიის ნაკრებშიც ხუთი ანექსირებული ავსტრიელი გამოჩნდა, თუმცა ეს შერწყმა იღბლიანი ვერ გამოდგა, მწვრთნელმა ზეპ ჰერბერგერმა ერთიანი გუნდი მაინც ვერ ჩამოაყალიბა. შვეიცარიამ რაიხის მოქალაქეები არად ჩააგდო და ფიცხელი ბრძოლა გაუმართა. თავიდან მაინც გერმანელები დაწინაურდნენ, ანგარიში ნოინდორფელმა იოზეფ გაუხელმა გახსნა, მაგრამ მალევე სამ ძმათაგან უმცროსმა აბეგლენმა თავურით გაათანაბრა.

გერმანია თითქოს უკეთ თამაშობდა, მაგრამ აღარაფერი შეცვლილა და დამატებითი დრო დაინიშნა. მერე გერმანელთა გუნდიდან სევერინო მინელის პროვოკაციაზე წამოგებული რაპიდელი ჰანს პესერიც გაძევეს, მაგრამ ტაბლოს 1:1 ბოლომდე შემორჩა.

ხუთი დღის შემდეგ გადათამაშებაში მოულოდნელად შვეიცარიელებმა 4:2 გაიმარჯვეს, რითაც მათმა მწვრთნელმა კარლ რაპანმა საქვეყნოდ გაითქვა სახელი.

1950 24 ივნისს, „მარაკანას" სტადიონის გახსნის დღეს რიო დე ჟანეიროში, მასპინძელმა ბრაზილიამ მექსიკას 4:0 მოუგო. თამაშს 82 ათასი მაყურებელი დაესწრო. ახალ სარბიელზე პირველი, ისტორიული გოლი „ვასკუ და გამას" შემტევმა ადემირ მარკეს დე მენეზესმა გაიტანა 30-ე წუთზე. ადემირმა მატჩის ბოლო, მეოთხე გოლიც შეაგდო, შუალედში კი თავი ჟაირმა და ბალთაზარმა გამოიჩინეს.

ამ შეხვედრაში მსოფლიოს ჩემპიონატებზე პირველად ითამაშა ლეგენდარულმა მექსიკელმა მეკარემ ანტონიო კარბახალმა, რომელმაც მერე კიდევ ოთხ მუნდიალში მიიღო მონაწილეობა და ამ მაჩვენებლით გერმანელ ლოთარ მათეუსთან ერთად მსოფლიო თასების თანარეკორდსმენიცაა.

1970 მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე მაყურებლები რამდენიმე სიახლის მოწმენი გახდნენ. პირველად მოეწყო ფერადი ტელერეპორტაჟები, „ადიდასის" ბურთები მუნდიალების ოფიციალურ ბურთებად იქცა, მსაჯებმა პირველად მიიღეს ყვითელ-წითელი ბარათების ჩვენების უფლება, ფიფამ ასევე პირველად დართო გუნდებს ფეხბურთელების შეცვლის ნება.

გახსნის მატჩში 31 მაისს, მეხიკოს „აცტეკას" სტადიონზე, მასპინძელი მექსიკა საბჭოთა

1938 წლის 4 ივნისი. პარიზის „პარკ დე პრენსი". გერმანიისა და შვეიცარიის ნაკრები გუნდები გახსნის მატჩის წინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავშირის ნაკრებს შეხვდა, რომელშიც ორი ქართველი ფეხბურთელიც მონაწილეობდა — კახი ასათიანი და გივი ნოდია. კიდევ სამნი — რევაზ ძოძუაშვილი, მურთაზ ხურცილავა და სლავა მეტრეველი — სათადარიგოთა სკამზე ისხდნენ.

46-ე წუთზე ვიქტორ სერებრიანიკოვის ნაცვლად მწვრთნელმა გავრილ კარალინმა მინდორზე ანატოლი პუზაჩი გაიყვანა. ეს იყო პირველი შეცვლა მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში. პირველი გაფრთხილებაც ამ დღეს დაფიქსირდა: გერმანელმა მსაჯმა კურტ ჩენშერმა ყვითელი ბარათი მექსიკელ გუსტავო პენიას უჩვენა, თუმცა ბევრ გამოცემაში მის ნაცვლად რატომღაც საბჭოელი ევგენი ლოვჩევი მოიხსენიება. მატჩის მონაწილე გივი ნოდიამ „სარბიელ"-ის კორესპონდენტთან საუბარში დაადასტურა, რომ პირველი სწორედ მექსიკელი გააფრთხილეს. სხვათა შორის, ამ შეხვედრაში „ყვითლები" ასათიანმა და ნოდიამაც მიიღეს.

1990 წლის 8 ივნისი. კამერუნელი ომამ ბიიკის გოლი არგენტინელთა კარში

1982 13 ივნისს ბარსელონას „კამპ ნოუს" სტადიონზე არგენტინა-ბელგიის (0:1) შეხვედრაში მსოფლიოს ჩემპიონატებზე პირველად ითამაშა დიეგო მარადონამ და საჯარიმოდან ხარიხას გარტყმული ბურთით გამოირჩა. ბელგიამ მოულოდნელად ერვინ ვანდენბერგის გოლით გაიმარჯვა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა გახსნის მატჩში მოქმედმა ჩემპიონმა წააგო.

„კამპ ნოუზე" ჩემპიონატი ადგილობრივი დროით საღამოს 7 საათზე გაიხსნა. ცაში 22 500 ფერადი ბუშტი აუშვეს, მინდორზე ესპანეთის, კატალონიისა და ფიფას დროშები გამოიტანეს, მერე ამას მონაწილე ქვეყნების ალმებიც დაემატა, უზარმაზარი ბურთიდან პიკასოს მშვიდობის მტრედიც ამოუშვეს, დამსწრეთ კი ესპანეთის მეფე ხუან კარლოს I და ფიფას პრეზიდენტი ჟოაო აველანჟი მიესალმნენ.

ბელგიელებმა არგენტინელებს უმთავრესად ორთაბრძოლებში აჯობეს. თავისი ცნობილი „ხელოვნური თამაშგარეშეთი" ხომ სისხლი გაუშრეს და არც შეტევაში ჩამორჩებოდნენ სამხრეთამერიკელებს. ვანდენბერგი, ჩერნიატნსკი და ვანდერსმისენი ერთობ სახიფათონი იყვნენ, საუკეთესო კი მცველი ერიკ გერეტსი გახლდათ.

1990 8 ივნისი, მილანის „სან სიროს" სტადიონი, 160 მზეთუნახავი იტალიელი მანეკენი, ცნობილი მომღერლები ედუარდო ბენატო და ჯანა ნანინი, რომლებმაც ჩემპიონატის ჰიმნი შეასრულეს, ლა სკალას თეატრის ორკესტრი და გუნდი, დიდრონ ტაბლო-ტელევიზორში პირდაპირ ეთერში რომ ასრულებდნენ ჯუზეპე ვერდის „ნაბუქოს" ერთ-ერთ პარტიას_ ისევ ქალები, ბუშტები და ჭრელ, შემოტკეცილ კოსტიუმებში გამოწყობილი 200 ტანმოვარჯიშე, მერე თამაში და ისევ სენსაცია: კამერუნი-არგენტინა 1:0...

არგენტინელებს ჰყავთ მარადონა, ბურუჩაგა, კანიჯა, კამერუნელებს — როჟე მილა და ფრანსუა ომამ ბიიკი, რომელმაც 66-ე წუთზე გატანილი ერთადერთი გოლით გადაწყვიტა კიდეც მატჩის ბედი. და კიდევ, გახსნის შეხვედრებში ერთადერთხელ გაძევეს ორი ფეხბურთელი: ფრანგმა მსაჯმა მიშელ ვოტრომ წითელი ბარათები კამერუნელ მასინგსა და კანა ბიიკს უჩვენა, მაგრამ აფრიკელებმა მაინც იძალეს.

ეგებ არგენტინელებმა მეტოქე ჯეროვნად ვერ შეაფასეს? ვინ იცის...

1994 ჩიკაგოს „სოლჯერ ფილდის" სტადიონზე 17 ივნისს ამერიკელებმა ამერიკულად გახსნეს ჩემპიონატი. ქვეყნის პრეზიდენტი ბილ კლინტონი გერმანელებს გერმანულად, ბოლივიელებს კი ბოლივიურად მიესალმა. პომპეზურ ცერემონიალში 2 500 ადამიანი მონაწილეობდა, კოსტიუმების შესაკერად 13 ათასი მეტრი სხვადასხვა ნაჭერი დაიხარჯა, ცაში 35 ათასი ბუშტი აუშვეს და მისთანები.

გახსნის „მასპინძელი" პოპულარული ტელეწამყვანი ოპრა უინფრი გახლდათ. მთავარი ფიგურა კი — ლეგენდარული დაიანა როსი, რომელმაც ერთ-ერთი თავისი ჰიტი იმღერა.

ეს იყო პირველი გახსნის მატჩი, რომელშიც მოქმედმა ჩემპიონმა გაიმარჯვა. გერმანიამ ბოლივიას იურგენ კლინსმანის მიერ 61-ე წუთზე გატანილი იოლი გოლით მოუგო. ბოლივიელთა მთავარი ვარსკვლავი მარკო ეჩევერი ლოთარ მათეუსთან უხეშობისთვის გაამეცეს. ეჩევერი დამთავრებამდე ათი წუთით ადრე გავიდა მინდორზე და მხოლოდ ხუთ წუთს თამაში მოასწრო.

„სოლჯერ ფილდის" მოედანზე უფესვებო ბალახი დაეგოთ, ამიტომ თამაშის წინ და შესვენებაზე მორწყეს, რითაც ფეხბურთელებს ერთობ გაურთულეს საქმე. ყოველი ტაიმის პირველი წუთები მინდორთან შეგუება გვიწევდა. ვცდილობდით როგორმე არ წავქცეულიყავით და თამაშზე ვინღა ფიქრობდაო, — იხსენებს კლინსმანი, მისი თანაგუნდელი ანდრეას ბრემე კი ამატებს: ისე ვსრიალებდი, თავი კატარინა ვიტი მეგონაო...

1998 შუაევროპული დროით საღამოს ექვსის ნახევარზე პარიზის გარეუბან სენ დენიში „სტად დე ფრანსის" სტადიონზე მსოფლიოს XVI ჩემპიონატი გაიხსნა. რამდენიმე სიტყვა თქვა ფიფას ახალგადამდგარმა პრეზიდენტმა ჟოაო აველანჟმა, რომელსაც მაყურებლები გამაყრუებლად უსტვენდნენ, საფრანგეთის პრეზიდენტ ჟაკ შირაკის გამოსვლის შემდეგ კი ტრიბუნები ტაშისგან კინაღამ დაინგრა.

ბრაზილიელთა თავკაცი მარიო ზაგალო იყო ის ერთადერთი მწვრთნელი, ვინც გუნდი გახსნის ორ მატჩზე გაიყვანა, ოთხი წლის წინ და 1974-ში.

მსოფლიოს ჩემპიონატებზე ბრაზილიელთა შემადგენლობაში პირველად თამაშობდა რონალდო, ვისაც წინა ორ წელიწადს უკვე მოესწრო მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელობა. ბრაზილიელებმა გახსნის მატჩებში ყველაზე სწრაფი გოლი გაიტანეს, მე-4 წუთზე ბებეტოს კუთხურს სეზარ სამპაიოს შედეგიანი თავური მოჰყვა. ტაიმის ბოლოსკენ იმავე სამპაიომ გალახერი წააქცია და კოლინზმა ზუსტად დარტყა პენალტი. შოტლანდია ტოლს არ უდებდა, მაგრამ მაინც დამარცხდა. 78-ზე კოუუს დარტყმული ბურთი მეკარე ლეიტონს მკერდში მოხვდა, მერე ბოიდს შეეხო და კარში აღმოჩნდა. ეს იყო პირველი ავტოგოლი გახსნის მატჩებში.

1998 წლის 10 ივნისი. შოტლანდიასთან რონალდომ პირველად ითამაშა მსოფლიოს ჩემპიონატებზე

ატმოცნობები

ლეგენდარული მიშელ პლატინი ამბობს, რომ ახლანდელი მსოფლიოს ჩემპიონატი სანახაობრივად ოთხი წლისწინანდელზე საინტერესო იქნება. მონაწილე გუნდები, მათ შორის საფრანგეთის ნაკრებიც დღეს უფრო ძლიერები არიან. მაგალითად, წინა მუნდიალზე ფრანგთაგან გოლები ერთთავად ნახევარმცველებს გაჰქონდათ, ახლა კი ჩინებულ ფორმაში არიან სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირი დავიდ ტრეზეგე და არსენალელი ტიერი ანრი.

— ყველაფერს ბოლო ორი კვირა გადაწყვეტს —, ამბობს პლატინი, — ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება ფეხბურთელთა ფიზიკურ ფორმას, ვინც მეტ ძალას შეინარჩუნებს, მთავარი ვარსკვლავიც ის გახდება.

პლატინის აზრით, შესარჩევში ბრაზილიის ნაკრების არასტაბილურობა სულაც არ ნიშნავს მის სისუსტეს და ხმაურიან სიურპრიზსაც იგი ტეტრაკამპეონებისგან ელის. სხვათა შორის, ამაში პლატინის 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, გერმანელი პაულ ბრაიტნერიც ეთანხმება.

„ჩემპიონობის დიდი შანსი აქვთ იტალიელებს, — განაგრძობს პლატინი — მათ ჰყავთ ვიერი, ვისაც მარტოს ძალუძს თამაშის ბედის გადაწყვეტა. დაუმატეთ ტოტი და დელ პიეროც და მრისხანე ძალა გამოვა, ხოლო მონტელასა და ინძაგის დონის თავდამსხმელებზე სხვა გუნდებს მხოლოდ ოცნება თუ შეუძლიათ. „აძურას“ ჩინებული მეკარეებიც ჰყავს. ფორვარდებსა და კარის დარაჯებზე შემთხვევით არ შეჩერებულვარ, დღეს წარმატებისათვის გუნდებს სწორედ ამ პოზიციებზე სჭირდებათ ვარსკვლავები. ჩემს დროს სხვაგვარად იყო — მთავარ როლს ნახევარმცველები თამაშობდნენ, მათ შეეძლოთ მოედნის ცენტრში ბურთით საკმაო დრო დაეხარჯათ, თანამედროვე ფეხბურთი კი უფრო სწრაფი და პრაგმატულია.

ერთი შეხედვით, ფრანგები თითქოს სხვებზე ძლიერები ჩანან, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ წარმატება გარანტირებული აქვთ. ჩემმა თანამემამულეებმა არა მხოლოდ ინგლისთან და არგენტინასთან, არამედ კამერუნთან და ესპანეთთანაც შეიძლება წაგონ. გავრისკავ და ვიტყვი, რომ ფინალში ერთმანეთს იტალია და საფრანგეთი შეხვდებიან, ხოლო ვინ გაიმარჯვებს, ამას არ გეტყვით“.

ასეთია ფრანგთა დიდებული კაპიტანყოფილის ვარაუდი.

REUTERS

მიშელ პლატინი

ფიფას აღმასკომის გადაწყვეტილებით, მსოფლიოს ჩემპიონატზე სიმულაციისთვის და მაისურის გაძრობისთვის ფეხბურთელები 2 ათასი შვეიცარიული ფრანკით დაჯარიმდებიან. სხვა სასჯელები, ვთქვათ, მეორე ყვითელი ბარათი, ათასი, ხოლო გაძევება ასევე 2 ათასი ფრანკი ეღირება.

კორეაში მყოფ აშშ-ის ნაკრებს 120 თანამემამულე უშიშროების წარმომადგენელი იცავს, რაც ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის წარმომადგენლის თქმით, ჩემპიონატზე სარეკორდო მაჩვენებელია.

დამცველთა შორის არიან სნაიპერები და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოწრთობილი ამერიკული პოლიციის საგანგებო მებრძოლები. ისინი სასტუმროში ფეხბურთელების გვერდით ცხოვრობენ და ისეთი ძაღლებიც ჰყავთ, რომლებსაც ასაფეთქებელი ნივთიერებების აღმოჩენა შეუძლიათ.

იაპონურ სენდაიში მყოფი იტალიის ნაკრები თაყვანისმცემლების მოძალებას ველარ აუდის. იაპონელი გოგოები განსაკუთრებით ფრანჩესკო ტოტისა და ალესანდრო ნესტაზე ნადირობენ. ძნელი გადმოსაცემია, რა ხდება ხოლმე, როცა იტალიელები სასტუმროსთან გამოჩნდებიან ან საწვრთნელი ბაზისკენ მიეშურებიან. ადგილობრივი პოლიცია ფანებს ძლივს აკავებს. ერთ-ერთ ტელესიუჟეტში კარგად გამოჩნდა ტოტისა და ნესტას ღიმილიან თვალებში როგორ ჩადგა შიში, — ისინი სიყვარულით კინაღამ გათელეს.

მერე ტოტიმ თანაგუნდელებთან ერთად სენდაის ცენტრში გასეირნება გადაწყვიტა, თხუთმეტ წუთსაც არ გაევლო, „რომას“ ვარსკვლავი იცნეს და გარშემო უცებ ათასამდე ადამიანი შეიყარა. ტოტიმ მაშინვე ტაქსი გააჩერა და თავს ასე უშველა, თორემ ეგებ სუვენირებადაც დაეტაცათ. რაღაც ამდაგვარი შეემთხვათ ნესტასა და კანავაროსაც: დიდი დაგინახე-დაგემალეს შემდეგ შეკრების ადგილამდე მათ ტაქსითღა მიაღწიეს.

ფრანჩესკო ტოტისა (წითელ მაისურაში) და ალესანდრო ნესტას იაპონელი გოგოები გასაქანს არ აძლევენ



REUTERS

REUTERS

ატმოცნობები

„ადიდასმა“, რომელიც მუნდიალებს ბურთებით 1970 წლიდან ოფიციალურად ამარაგებს, საამსოფლიოსჩემპიონატოდ ახალი მოდელი გამოიგონა. მოდერნიზებულ ბურთებს „ფივერნოვა“ ჰქვია და გრაფიკულად იაპონურ სიძველეებს ეხმიანება. (მანამდე იყო კოპლებიანი ბურთი „ტელსტარი“ — 1970 და 1974 წლებში, „ტანგო“ — 1978-ში, „ტანგო ესპანა“ — 1982-ში, „აცტეკა“ — 1986-ში, პირველი სინთეტიკური ბურთი „ეტრუსკო“ — 1990-ში, „ქუესტრა“ — 1994-ში და „ტრიკოლორი“ — 1998-ში).

ადიდასელები სიახლეს ხელოვნების ნიმუშად მოიხსენიებენ და ამტკიცებენ, რომ ასეთი მოსახერხებელი სფერო ფეხბურთელებს ჯერ არ უნახავთ. ბურთებზე გამოსახულია იაპონელი მებრძოლი-ნინძების მრისხანე იარაღი, სასროლი „ვარსკვლავები“. დიზაინერთა აზრით, ეს შუა საუკუნეების სიმბოლო შორეული აღმოსავლეთის სიძლიერესა და ენერგიას გამოხატავს. აბა, „ადიდასი“ ცუდ პროდუქციას როგორ დაამზადებდა, მაგრამ ახალი ბურთები ბევრს გულზე არ ეხატება. მაგალითად, ბელგიელ მეკარეთა მწვრთნელი მუნარონი ამტკიცებს, რომ ბურთები ძალიან მსუბუქია და მოთამაშეთა უმეტესობა მათ ვერ ეჩვევა: „დარტყმისას ბურთის ფრენის ტრაექტორიის გამოცნობა ხშირად შეუძლებელია, რაც ფეხბურთელებს, უპირველესად კი მეკარეებს, დამატებით პრობლემებს უქმნის“ —, ამბობს მუნარონი, ვინც ქართველ გულშემატკივარს 80-იანი წლების „ანდერლეხტიდან“ უნდა ახსოვდეს.

ბურთით უკმაყოფილონი არიან სლოვენიელთა მწვრთნელი სრეჩკო კატანეცი და შემტევი ზლატკო ზაჰოვიჩიც: „ეს ყველაზე ცუდი ბურთია, რომლითაც ოდესმე მითამაშია, ბუშტივით ფრინავს“, — დასძენს ზაჰოვიჩი. სათქმელი თურქებსაც აქვთ: „ფივერნოვა“ აშკარად ცუდი ხარისხისაა, საითაც გინდა, იქით ხეირიანად ვერ დაარტყამ“, — აცხადებს ნახევარმცველი აბდულა ერკანი.

REUTERS

ლუიშ ფიგუ: ოჰ, ეს „ფივერნოვა“

რუსების მეკარე რუსლან ნიგმატულინს იაპონიიდან შინ დაურეკავს და მამამისთვის ქარიმ ჰუსაინოვიჩისთვის შეუჩივლია: ვერაფერი გამიგია, ეს ახალი ბურთები რაღაც უჩვეულოდ სწრაფად დაფრინავსო.

სიახლეს დამცველებიც ჰყავს: „ამ ბურთით უფრო იოლია გრძელი პასის შესრულება, ის 25 პროცენტით ზუსტი და 10 პროცენტით სწრაფია წინამორბედ „ტრიკოლორზე“, რომლითაც საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე ვთამაშობდით“, — ამტკიცებს ინგლისელთა კაპიტანი დეივიდ ბექემი. თუმცა მისი სიტყვებისა ნაკლებად სჯერათ, რადგან ყველასთვის ცნობილია, ბექემი „ადიდასის“ აქტიური მერეკლამეა.

მოკლედ, ამაზეა ნათქვამი, ჰა ბურთი და ჰა მოედანიო. მსოფლიოს ჩემპიონატი გახურებულია და ვინ, ვის, რა და როგორ „აბანოში“ გამოჩნდება. თქვენ შეამჩნიეთ რამე...



REUTERS

კამაჩო და კამაჩინი

ესპანელთა თავკაცს ხოსე ანტონიო კამაჩოს მოულოდნელად ოთხფეხა სეხნია გამოუჩნდა. კამაჩინი — ასე ჰქვია ერთი თვის ბუნჩულა ლეკვს, რომელიც ესპანელმა ტელეჟურნალისტებმა ქალაქ ულსანის ბაზარში აღმოაჩინეს. კამაჩინი „პატარა კამაჩოს“ ნიშნავს. საქმე კი ასე იყო: ჟურნალისტები კორეულ სამზარეულოზე სიუჟეტს ამზადებდნენ და ბაზარში წავიდნენ, სადაც სხვადასხვა კერძებისთვის „საჭირო“ ძაღლებს ყიდიან. იქ ერთი პაწია ლეკვიც ნახეს, მასში 30 ევროს ეკვივალენტი თანხა გადაიხადეს და საცოდავი ცხოველი მოხარშვისგან იხსნეს. როცა კამაჩომ გაიგო, რომ ლეკვს მისი სახელი დაარქვეს, ფრიად გამხიარულდა, ხოლო კორეულ სამზარეულოზე ლაპარაკი იუარა: ესპანეთში ლოკოკინებს ვჭამთ და არ გვიკვირს, ყველა ქვეყანას თავისი წესი აქვს და რაღა უნდა გითხრათო.

წინა „ატმოცნობებშიც“ ვწერდით, რომ ძაღლიჭამია კორელებს ფრანგი კინოვარსკვლავი ბრიჟიტ ბარდო დაუპირისპირდა და თანამემამულე ფეხბურთელებს მოუწოდა: კორეაში ცხოველთა უფლებები სასტიკად ირღვევა და იქ რა გესაქმებათო. ამას კორელები აღუშფოთებია და მსახიობს შვიდი ათასამდე „ტკბილი“ წერილიც მიუღია, თუმცა ბარდო არ თმობს და აცხადებს, რომ ამგვარი მუქარებით ვერ დაადუმებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS

კაცი, რომელიც ჭიანჭველამ შეაშინა

ჩვენ, ქართველები, ფრანგები, იაპონელები, ბოლივიელები... ყველანი ადამიანები ვართ. თქვენ წარმოიდგინეთ, ყველას — პრეზიდენტებს, მომღერლებს, ფეხბურთის ვარსკვლავებს და მათ, სხვათაგან ერთი შეხედვით რომ არაფრით გამოვირჩევით, გვყავს დედა, მამა, ძმა, გვშია, გვწყურია, გვცივა, კბილი გვტკივა, ვთვრებით, კარგ ხასიათზე ვართ, ტუალეტში გვინდა და ასე შემდეგ. ოღონდ ეგ არის, როგორ შია ან ტუალეტში როგორ უნდა ერთს, ძალიან აინტერესებს სხვა დანარჩენს, მეორისა კი არაფრად მიაჩნიათ, ეგრე ხომ ჩვენც ვართო.

დღეს, ბარემ მსოფლიოს ჩემპიონატიც აქ არის და, ზინედინ ზიდანზე გიამბობთ. უფრო სწორად გვიამბობენ მისი ოჯახის წევრები და ძმაკაცები, ხოლო ჩვენ აღმოვაჩენთ, რომ საფრანგეთის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ გამთამაშებელი ბავშვობაში ტიროდა, დედა ბაკალეის იქით არ უშვებდა, ერთხელ ჭიანჭველამ შეაშინა და ასე შემდეგ.

ამ წერილის წაკითხვის შემდეგ, ვინც ამ ფეხბურთელს პატივს სცემს, მის მიმართ ალბათ, მეტი პატივისცემით განეწყობა; ვისაც აღიზიანებს, ალბათ, ერთხელაც გაღიზიანდება და ეს ძალიან ბუნებრივია.

ასე რომ, დავიწყოთ:

პაპუნა კედია

დედა:

ფეხბურთის თამაში უყვარდა და ჭაღებს გვიმტვრევდა. მთელ დროს ბურთაობაში ატარებდა. სკოლაში კასტელანში (უბანია მარსელში) დადიოდა. როგორც კი დაბრუნდებოდა, ჩანთას მოისვრიდა და მეგობრებთან სათამაშოდ გარბოდა. სახლში მხოლოდ ჩხუბით შემომყავდა. ბაკალეის იქით გასვლა აკრძალული ჰქონდა, თორემ ვერც მე და ვერც მისი ძმები თვალს ვეღარ ვკიდებდით.

დღეს? სულ აინტერესებს როგორ ვართ და რას ვაკეთებთ. ოჯახი არასდროს შეურცხვენია და დავიწყებია. სხვებთანაც ხშირად ლაპარაკობს ჩვენზე...

ერთხელ მითხრეს, რომ ორი სკაუტი კანში უპირებდა წაყვანას. სულაც არ გამხარებია, რადგან ოჯახისგან მოსაწყვეტად ძალიან ახალგაზრდად მიმაჩნდა. მეშინოდა, რომ დამოუკიდებლად ცხოვრება გაუძნელდებოდა. თან, ვიცოდი, იქ ახალგაზრდულ ჰოსტელში უნდა დაბინავებულიყო, ეს კი ძალიან არ მომწონდა, მაგრამ დამიყოლიეს, თანაც დამპირდნენ, რომ ჰოსტელის ნაცვლად ოჯახში აცხოვრებდნენ. ამას არა უშავდა, ოღონდ ვთხოვე, ის ოჯახი, სადაც ჩემი შვილი იცხოვრებს, გამაცანით-მეთქი. მართლაც გამაცნეს და დავშშვიდდი.

წლების შემდეგ, კანიდან ბორდოში გადასვლა რომ გადაწყვიტა, აღარ მინერვიულია, რადგან უკვე გამოცდილი იყო. მას შემდეგ თავის ცხოვრებას თავად განაგებს.

1998 წელს კი ვინერვიულე. მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში ავიკვიატე, დაშავდება ან რამეს მოიწევს-მეთქი, მაგრამ მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარგად დამთავრდა. მისმა წარმატებამ ძალიან გამახარა, ოღონდ ერთია: ნეტავ ის გოლები ფინალში კი არა, მანამდე გაეტანა, თორემ რა გამოვიდა. მარსელში რომ ჩამოდის, მოსვენებას აღარ აძლევენ, ხალხი სულ გარს ეხვევა და ქუჩაში ზედიზედ ორი ნაბიჯი ველარ გადაუდგამს.

იმ მსოფლიო ჩემპიონატმა მართლაც ძალიან ბევრი რამ შეცვალა. ხალხი უკვე სხვანაირად უყურებს, მაგრამ მე თუ მკითხავთ, მას შემდეგ ცხოვრება ჯოჯოხეთად ექცა. თავისთვის ერთი წუთით ვერ მოუცლია. თუმცა მესმის, რომ დედა ვარ და ობიექტურად ვერ ვლაპარაკობ.

მამა:

როდესაც მივხვდი, რომ სკოლა მისი საქმე არ იყო და სპორტი უფრო აინტერესებდა, ხელი არ შემიშლია, მივეცი საშუალება, ძალები მოესინჯა. მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS

ლილა — მოსიყვარულე და

შინ ძიუდოზეც დადიოდა და ფეხბურთზეც, მაგრამ ვიგრძენი, რომ ეს მეტისმეტი იქნებოდა და ვურჩიე, ჭიდაობისთვის თავი დაენებებინა. ჯერ ერთი, დატვირთვა იყო გადამეტებული, მერე, დროც მხოლოდ სპორტზე სიარულს მიჰქონდა და, გარდა ამისა, თავად ზინედინს ფეხბურთი უფრო იტაცებდა, თორემ მე სულაც არ ვფიქრობ, რომ ფეხბურთი სპორტის ერთადერთი სახეობაა.

ზინედინი ოჯახში ყველაზე უმცროსი იყო და ამიტომაც ყველა თავს ეკლებოდა. ისიც ყველას მიმართ კეთილად გახლდათ განწყობილი, მაინცდამაინც არც საყვედურებს იმსახურებდა, თუმცა ჭაღს რომ დაამტვრევდა, მაშინ კი ვსჯიდით. ისე, ბურთის გორება ფეხის ადგმიდანვე დაიწყო.

მაშინ საფრანგეთში პლატინი იყო დიდი ვარსკვლავი და ზინედინი სულ მასზე ლაპარაკობდა. ჩვენც აღფრთოვანებულნი ვიყავით პლატინის თამაშით და გადავწყვიტეთ ზინედინისთვის ყოველმხრივ შეგვეწყო ხელი, რომ მასავით დიდი მოთამაშე გამოსულიყო.

თოთხმეტისა კანში წავიდა. ასე რომ, შეიძლება ითქვას, მისმა სიჭაბუკემ უჩემოდ ჩაიარა.

1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი კი არ მინახავს. შინ დავრჩი, შვილიშვილთან, ლუკასთან (ზიდანის ვაჟი) ერთად. მაშინ ლუკა თვე-ნახევრის იყო. ჰოდა, ბაღში გავედით, ჩრდილში დავსხედით და ჩემი შუათანა ვაჟისგან, ნურადინისგან გავიგე, რომ იაზიდმა გოლი გაიტანა.

და, ლილა:

როგორც ყველა მისი თანატოლი, ბავშვობაში იაზიდიც ენერგიით იყო აღსავსე, ოღონდ ეს დადებითი ენერგია გახლდათ. ფეხბურთზე თავიდანვე გიჟდებოდა, მაგრამ ჩოგბურთიც უყვარდა. ერთი სიტყვით, როდესაც ფეხბურთისთვის საკმარის ბაშვებს ვერ მოაგროვებდა, ჩოგბურთს თამაშობდა. მისი აყოლა გამორიცხული იყო, რადგან არ ისვენებდა. ის ყველას უყვარდა, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ ოჯახის ნებიერა იყო.

მუდმივად თვალთვალი სჭირდებოდა და ეს საქმე უფროს ძმას ფარიდს ებარა. შესახედავად ძალიან საყვარელი იყო, გრძელთმიანი, მწვანეთვალება, თოჯინას მაგონებდა. მერე დედამ დაიჟინა და მხრებამდე ჩამოშვებული თმა შეაჭრევინა.

არ დამავიწყდება, ველოსიპედს დამხმარე ბორბლები რომ მოხსნა და მშობლებს გული გაუხეთქა. წარმოიდგინეთ, ხედავენ, რომ ბავშვი ველოსიპედს შემოახტა და გიჟივით გააქანა. რომ გაჩერდა, მამა შინ შევარდა ვიდეოკამერის გამოსატანად, ის კი იღიმება და წონასწორობას იცავს. ოთხის თუ ხუთის იყო მაშინ.

კანში რომ წავიდა, ვიცოდი, რომ დიდი გზის დასაწყისში იდგა. მეორე მხრივ, ვდარდობდი. ისე, როგორია? თუ რამე სათქმელი გაქვს, დაჯდება და ბოლომდე მოგისმენს. წარმატება თავში არ ავარდნია. თუ სადმე ქველმოქმედებაა საჭირო, ისიც იქ გაჩნდება. ან, ვთქვათ, თუ მის ძველ ნაცნობ ფეხბურთელს სპორტიდან აცილებენ, გაცილების მატჩს დაესწრება, უარს როგორ ეტყვის. აი, თუ უბრალოდ ქეიფია და ისე, გასართობად პატიჟებენ, არ მიდის. კიდევ, თავდადებული მამაა. გასაგებია, რომ შვილი ყველას უყვარს, მაგრამ იაზი რაგინდ დაკავებული იყოს, ბავშვებისთვის აუცილებელ დროს პოულობს.

როგორც გითხარით, წარმატებამ ვერ შეცვალა. ისეთივეა, ოღონდ ახლა გარს ბევრი ხალხი ახვევია და მეტი საქმე აქვს. ცხადია, უფრო მშვიდი ცხოვრება უჯობს, მაგრამ ესმის, რომ ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია. მახსოვს, რამდენიმე წლის წინ ქუჩაში ვინმე რომ იცნობდა, სიამოვნებდა, უხაროდა, დღეს კი არ გამოვრიცხავ, რომ ეს უკვე ღლის. წარმოიდგინეთ, დღეში ერთი საათი უნდა გაჩერდეს და ავტოგრაფები არიგოს.

დიახ, ასეა საქმე, თუმცა შიგადაშიგ მაინც ვახერხებთ მშობლების ბაღში თავმოყრას. ზინედინს არასდროს მოსვლია თავში აზრად სადმე, მარსელის ცნობილ ბარებში შესვლა და იქ თავის მოწონება ძალიან ჩვეულებრივია.

ფარიდ, ზინედინ და ნურადინ ზიდანები



ლაღობა მარსელში: მსოფლიოს ჩემპიონი და ძმაბიჭები

ძმა, ფარიდი:

ბავშვობაში ფეხბურთის თამაშს რომ დავაპირებდით, მისთვის აუცილებლად უნდა დაგვეძახა, თორემ წიხლებს დაგვიშენდა. თუ ორ გუნდად გავიყოფოდით და ზინედინისთვის ადგილი არც ერთში მოინახებოდა და არც მეორეში, ტირილით დააქცევდა ქვეყანას, სანამ ბოლოს და ბოლოს დედა არ გამოვარდებოდა სახლიდან, ბავშვს ნუ აკივლებთო. ნათელი მომენტი მხოლოდ მაშინ დგებოდა, როდესაც მშობლები სადმე წაიყვანდნენ.

ზინედინის ბავშვობის დაუვიწყარი მომენტი მისი კანში გამგზავრება გახლდათ. მახსოვს, სიხარულისგან დახტოდა. იმ დღიდან, როდესაც კანში წაყვანას დაჰპირდნენ, იმ დღემდე, როდესაც წაიყვანეს ექვსთვიანი მონაკვეთი იყო და ამ ხნის განმავლობაში აღტაცებული და აღელვებული ცხოვრობდა.

მე მგონი, ის ჩვენ შუათანა ძმას — ნურადინს ჰგავს. მუდამ მის გვერდით ტრიალებდა და მას ჰბაძავდა, მის ფინტებს და მოძრაობებს იმეორებდა. იმას კი არ ვამბობ, რომ ნურადინი მასზე უკეთ თამაშობდა, მაგრამ, მასაც შეეძლო იმ დონეზე ასულიყო დღეს ზინედინი რომ არის.

თუმცა, მიზანს აღწევ თუ ვერა, ხასიათზეა დამოკიდებული, ოღონდ ისიც მნიშვნელოვანია შენს გარშემო ვინ ტრიალებს. იაზიდი კანში რომ წავიდა, ჯერ ბავშვი იყო. იქ, კანში, ოჯახში ცხოვრობდა, საწვრთნელ ცენტრში დადიოდა და მეგობრები ფაქტობრივად აღარ ხვდებოდნენ. იცით, მეგობრების წრე ყოველთვის კარგ გავლენას როდი ახდენს ადამიანზე.

ზინედინის ყველაზე დადებითი თვისება, ჩემი აზრით, ის გახლავთ, რომ საკუთარ თავს მუდმივად უსახავს ამა თუ იმ მიზანს და, თუ ამ მიზანს ვერ მიაღწია, გიჟდება. მას შემდეგ, რაც სახელი გაითქვა, არ შეცვლილა, თუმცა რაღაცნაირად ჩაძირა იმ უამრავმა ხალხმა, გარს რომ ახვევია.

ძმა, ნურადინი:

98-ში, მსოფლიოს ჩემპიონატზე, ყველას ვეუბნებოდი, თუ ჩვენები ფინალში გავლენ, მე პარიზში არ წავალმეთქი. საქმე ის არის, რომ ერთხელ, როდესაც ზინედინი „ბორდოში“ თამაშობდა და ორჯერ, როდესაც „იუვენტუსში“ იყო, უეფას და ჩემპიონთა თასის ფინალებს დავესწარი და წააგეს. როგორც იცით, საფრანგეთის ნაკრები მართლაც გავიდა ფინალში და იმ დღეს, სადღაც შუადღის 4 საათისთვის ზინედინმა დამირეკა. მე ვუპასუხე, ჩემს ბილეთზე ნუ ღელავ, სტადიონზე ფეხის მიმდგმელი არ ვარ-მეთქი. სულაც არ მესიამოვნა, რომ დარეკა, ტელევიზორის წინ სავარძელში ჩასაჯდომად ვიყავი განწყობილი. ცოტა ხანს ტელეფონით ვილაზღანდარეთ, მერე კი ახლობლებთან ერთად ტელევიზორს ჩავუჯექი.

მეგობარი, ბაბა:

ზინედინი ბავშვობაში, მარსელის ერთ-ერთ მოედანზე გავიცანი. იმ მოე-



ბედნიერი ცოლ-ქმარი ვერონიკ და ზინედინ ზიდანები

REUTERS

დან ზე სათამაშოდ ვიკრიბებოდით. ის ჩემზე უმცროსია, მაგრამ ფეხბურთის თამაშმა დაგვაახლოვა.

უნდა გითხრათ, რომ საოცარი ადამიანია. თუკი დახმარება გჭირდება, შენს გვერდით გაჩნდება. სულ არ შეცვლილა, უბრალოდ, ცნობილი რომ არ გამხდარიყო, უფრო მშვიდად იცხოვრებდა. ეს განსაკუთრებით ქუჩაში სეირნობისას იგრძნობა.

98-ში ფინალს ვესწრებოდი. ეს დაუვიწყარი დღე იყო ჩემს ცხოვრებაში, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ორი გოლი ზინედინმა გაიტანა.

მეგობარი, დუდუ:

80-იან წლებში, უბანში გავიცანი. ათი წლისანი ვიქნებოდით. სულ ფეხბურთს ვთამაშობდით. ნიჭიერი რომ იყო, ამის შესამჩნევად დიდი დრო არ დაგვჭირვებია. მე და ზინედინი სკოლაშიც ერთად დავდიოდით, მაგრამ პარალელურ კლასებში ვიყავით.

სკოლაში? სკოლა მისი საქმე არ იყო. სწავლაში მე ვჯობდი, მაგრამ ამას ყურადღებას არავინ აქცევდა, რადგან მაშინვე ცხადი გახლდათ, რომ ის პროფესიონალი ფეხბურთელის კარიერისთვის ემზადებოდა. ძალიან კარგად თამაშობდა მისი ძმა ნურადინიც, მაგრამ, სამწუხაროდ, მან საბოლოოდ ფეხბურთი არ აირჩია. ისიც ფეხბურთელი რომ გამხდარიყო, წარმომიდგენია, როგორ ვიამაყებდით.

ერთი რამ უნდა გიამბოთ: ერთხელ ბიჭები სკოლაში მივდივართ. ლავანდის ბუჩქს ჩავუარეთ და რატომღაც ყვავილს შესეულ აურაცხელ ფუტკარს ხელის ქნევა ავუტეხეთ. უცებ ვხედავთ, იაზიდი ღრიალებს. გული გაგვისკდა. დაკბინეს? მივცვივდით, გვინდა გავიგოთ, რა დაემართა, ის კი ტირის, არ ჩერდება. მერე საყელო გადავუწიეთ ჩავხედეთ და რას ვხედავთ: მის კისერზე ჭიანჭველა დაბობღავს. აგვიტყდა სიცილი... რამდენიმე კვირა ამაზე ვლაპარაკობდით.

როგორი კაცია? ჩვეულებრივი და დასახმარებლად მარად გამზადებული. იცით, მისთვის ცხოვრება შავ-თეთრია, შუა ფერი, ვთქვათ, ნაცრისფერი, არ არსებობს და ალბათ, სწორედ ესაა მისი დიდი მინუსი.

რეალი ბლაზგოს მეფეა



2002 წლის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული მადრიდის რეალი. დგანან: სესარი, იერო, ელგერა, სოლარი, ფიგუ, ზიდანი. სხედან: მაკელელე, სალგადო, რობერტო კარლოსი, რაული, მორიენტესი

REUTERS

თომას ბრდარიჩი ლუიშ ფიგუსთვის ბურთის წართმევას ცდილობს

REUTERS

მოედანზე ნამდვილი შოქლანდიელი გადმოხტა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი დარჯანია

UEFA CHAMPIONS LEAGUE

იშვიათად, რომ ფინალში გასულ გუნდთაგან რომელიმე დასამარცხებლად გემეტებოდეს კაცს და ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ ფინალშიც ასე იყო. ორმაგადაც — „რეალიც“ და „ბაიერიც“ ხომ წლეულს თითო ნაბიჯით ასცდნენ თავიანთი ქვეყნების ჩემპიონობასა და თასებს, ჰოდა, ერთ-ერთისთვის გლაზგოური ფინალი სეზონში ზედიზედ მესამე წაგებული იქნებოდა.

ფინალში კი მოხდა ის, რასაც ლიგის წინა ორმა სეზონმა დაგვაჩვია ანუ ფინალში ევროპული ფეხბურთის გრანდი პატარა კლუბს შეხვდა და დაამარცხა. მაგრამ ეს ფინალი განსხვავდებოდა წინამორბედებისგან: შარშანწინ „სტად დე ფრანსზე“ თავიდანვე გამოჩნდა, რომ „რეალი“ იოლად მოუგებდა „ვალენსიას“, ხოლო შარშანდელი მილანური ფინალი ჭადრაკის ფრთხილ პარტიას უფრო ჰგავდა, რომელშიც „ბაიერნი“ და „ვალენსია“ მთელი მატჩი ერთმანეთის შეცდომებს ელოდნენ.

ეს განსხვავებული ფინალი იყო — თუ მაინცდამაინც ისტორიული პარალელების გავლებას მოვინდომებთ — იმიტომაც, რომ „რეალისთვის“ გლაზგოს „ჰემპდენ პარკი“ გამორჩეული ადგილია, ხოლო „ლევერკუზენმა“ ფინალამდე თითქოს წასაგებ თამაშებში ჩამოიცილა „ლივერპული“ და „მანჩესტერ იუნაიტედი“.

...რობერტო კარლოსმა აუტიდან უგრძელესი პასით ჩაუგდო ბურთი რაულს მეტოქის საჯარიმოში და ამანაც რაულურად გაიტანა ჰანს-იორგ ბუტის კარში. ამ დროისთვის თამაშის დაწყებიდან მხოლოდ ცხრა წუთი გასულიყო და კაცი იფიქრებდა, მადრიდელთა ახალი თაობაც ისე ამოავსებს მეტოქის კარს, როგორც ორმოცდაორი წლის წინათ შეძლო დი სტეფანოსა და პუშკაშის „რეალმა“ ამავე სტადიონზე „აინტრახტის“ ამოვსებაო (7:3).

მაგრამ როცა მეტოქედ ლევერკუზენის „ბაიერი“ გყავთ, გახსოვდეთ, „ლივერპული“ და „მანჩესტერი“! აკი ვთქვით, ფინალამდე ბაიერელები ამ გრანდებთანაც აგებდნენ და მატჩების შემობრუნება კი შეძლეს.

...ჯარიმიდან ჩაკიდებულ ბურთს ლუსიო ფერეირა და სილვამ თავი დაუხვედრა და ანგარიში გაათანაბრა. რაულის გოლიდან სულ რაღაც ხუთი წუთი იყო გასული. მოკლედ, ყველაფერი თავიდან დაიწყო...

სასეირო პირველი ტაიმის შემდეგ მეორე ნახევარი, ბოლო წუთების გამოკლებით, საკმაოდ მოსაწყენი გამოდგა, რაშიც დამნაშავეა... ზინედინ ზიდანი, უფრო სწო-

ზიდანის გადამწყვეტი დარტყმა



REUTERS

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად, ზედ შესვენების წინ მის მიერ გატანილი დიდებული გოლი.

ვისენტე დელ ბოსკემ ისედაც მშვენივრად იცოდა „ბაიერის“ გაუტეხლობის ამბავი და, რომც არ სცოდნოდა, მე-14 წუთზე გაიგებდა. ჰოდა, რა გასაკვირია, საუკუნოვანი იუბილეს წელს ესპანეთის ჩემპიონობისა და სამეფო თასის დამკარგველმა ლამაზი თამაშით მოგებას უფრო საიმედო გზა რომ ამჯობინა. ერთი სიტყვით, მეორე ტაიმში „რეალმა“ ტემპი დაგდო და ზურგის გაშიშვლების შიშით ძირითადი ძალების შეტევაში გადასროლას მოერიდა. საბოლოოდ კი მივიღეთ, რომ „ბაიერი“ ესპანურ კედელს აწყდებოდა და ვერაფერს ხდებოდა.

ზიდანის ის გოლი კი ერთ რამედ ღირდა. ისიც ვთქვათ, რომ სწორედ ზიდანი იმსახურებდა გამარჯვების გოლის გატანას — სხვა რომ არაფერი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი „ბორდოსა“ და „იუვენტუსში“ თამაშისას სამჯერ ზედიზედ გავიდა ევროთასების ფინალში (1996 წელს — უეფას თასი, მომდევნო ორ სეზონში — ლიგისა) და სამჯერვე დამარცხდა. თან ბედის ირონიით, მესამედ სწორედ „რეალმა“ დააკარგვინა ჩემპიონთა თასი.

მატჩის მერე მედია ზიდანის დითირამბებით აჭრელდა.

„მარკა“: „ზიდანმა „რეალს“ მეცხრე ჩემპიონთა თასი აჩუქა“.

„ასი“: „ზიდანი გლაზგოს მეფეა“.

„ბილდი“: „ზიდანმა „ბაიერს“ გული ამოაცალა“.

„კიკერი“: „ზიდანმა ბალაკი დაგვიჩაგრა“.

მოკლედ, ზიდანი, ზიდანმა, ზიდანს...

მაგრამ დითირამბებამდე იყო შეხვედრის ბოლო წუთები, რომელთაც შეიძლებოდა, დითირამბების ადრესატი შეეცვალა.

„რეალის“ საჯარიმოსა“ მთელი „ბაიერი“ შეესია, მეკარე ბუტიც იქ ტრიალებდა და მისი ვერაგული თავური ოდნავ ასცდა კარს, რომელშიც დაშავებული სესარის ნაცვლად უკვე იკერ კასილიასი იდგა. ამ ეპიზოდს გერმანელებმა სამი ერთიმეორეზე უკეთესი მიაყოლეს, ბურთი კი მუდამ კარის ხაზზე მდგომ მადრიდელებს ხვდებოდათ.

მატჩი დამთავრდა. „რეალმა“ თასი ჩაიბარა და დიდებული ზეიმიც მოიწყო, რომლის ქაღალდზე აღწერაც არასრულფასოვანი გამოვა და ჯობს მოვერიდოთ.

ლევერკუზენის „ბაიერი“? გუნდი, რომელმაც 4-დან 15 მაისამდე ერთბაშად სამი ტიტული დაკარგა? გარკვეული თვალსაზრისით ისიც გამარჯვებულია — „რეალთან“ შედარებით ღატაკი გუნდი, სეზონში 59 ოფიციალური მატჩი 15 ფეხბურთელით რომ ჩაატარა, ფინალში დისკვალიფიცირებული ზე რობერტოს გარეშე —, ამასთან და ნემსებდარჭობილი ბალაკითა და სებესკენით გავიდა და ევროპა აალაპარაკა.

REUTERS

სტივ მაკმანამანი თასით ხელში

ზეიმი მადრიდში, სიბელესის მოედანზე

REUTERS

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS

ცრემლების ჰეთ-თრიქი

ღმერთი და ფეხბურთი — ბოლო ხანს გერმანელები ხშირად ლაპარაკობენ ფეხბურთის ღმერთზე, ღმერთზე, რომელსაც შეუძლებელი შეუძლია. მაგალითად , შარშან ბუნდესლიგის ბოლო ტურში „ჰამბურგმა“ 90-ე წუთზე „ბაიერს“ გოლი გაუტანა და „შალკე“ ჩემპიონი გახადა, მაგრამ 4 წუთით, მერე მსაჯის წამატებულ წუთებზე მიუნხენელებმა ანგარიში გაათანაბრეს და შალკელები აატირეს. ასე ინდომა ფეხბურთის ღმერთმა. თუმცა, შარშანდელი მაგალითი რად გვინდა, აგერ წლევანდელი ლევერკუზენის „ბაიერი“ ავიღოთ. ლევერკუზენელები მაისის დასაწყისში ბუნდესლიგის ჩემპიონობასთან და გერმანიისა და ჩემპიონთა ლიგის თასების მოგებასთან ხელის გაწვდენაზე იყვნენ, მაგრამ „ბაიერს“ ფეხბურთის ღმერთმა ზურგი აქცია და თასების ჰეთ-თრიქის ნაცვლად ცრემლების ჰეთ-თრიქი არგუნა, ცრემლებისა, რაც წლეულს ერთ-ერთი საუკეთესო ევროპული კლუბის უტიტულოდ დარჩენას მოასწავებდა. ეს სათქმელად ადვილია, მაგრამ აბა, ახლა ლევერკუზენელთა მწვრთნელის კლაუს ტოპმიოლერის გულში ჩაიხედეთ. ამ კაცმა ისეთი განცდები გადაიტანა, ველარ გაუძლო, ხელში კალამი აიღო და მთელ გერმანიას გული გადაუშალა. ტოპმიოლერი ერთი კვირით ბილდელი გახდა, სწორედ გაზეთ „ბილდში“ იბეჭდებოდა მისი სტატიები 13-იდან 20 მაისამდე, ოღონდ ტოპიმ ერთი დღე დაისვენა, 15 მაისს მისი გუნდი ჩემპიონთა ლიგის ფინალს თამაშობდა. პირველი წერილი კი ქვეყნის თასზე მარცხის მერე დაიბეჭდა...

ვანო ოქროპირიძე
გერმანიიდან

ასი კილომეტრი რაინერისთვის

„ნეტავ, რას გვიპირებს ფეხბურთის ღმერთი? ეს კითხვა ბოლო დღეებია, ტვინს მიღრღნის. ვერც მაშინ მოვიშორე, როცა გერმანიის თასის ფინალის მერე, ბანკეტზე, 7 ბოთლი ლუდი დავლიე; ვერც მაშინ, როცა იმავე ბანკეტზე ჩემს მეუღლესთან როზისთან ერთად „სექს-ბომბზე“ ვცეკვავდი, ვერც მაშინ, როცა ცხოვრებაში პირველად ნასვამმა ალიონამდე თვალი ვერ მოვხუჭე. თუმცა კითხვაზე პასუხი მაინც ვერ ვიპოვე.

ისევ მეორე ადგილი, ისევ „ვიცეს“ წოდება, ისევ მოწინააღმდეგის ზეიმი, ისევ ნაცნობი სიტყვები: „ვწუხვარ, ტოპი, თქვენ ტიტულს იმსახურებდით“... აღარ მინდა ამ სიტყვების კიდევ ერთხელ მოსმენა. არ მინდა ჩემი გუნდის მიმართ მარტო სიმპათიის გამოხატვა, სიმპათიას საკლუბო ვიტრინაში ვერ დადებთ, ჩვენ თასი გვჭირდება.

ქვეყნის თასის წაგების მერე „შალკეს“ თავკაცი ჰუუბ სტევენსი მოვიდა და მოგებისთვის მომიბოდიშა. ასევე მოიქცნენ ოლივერ რეკი და ანდი მიოლერიც. ჩვენს მწუხარებას მეტოქეთა გარდა სხვებიც იზიარებდნენ. თუმცა ეს ვერაფერი ნუგეშია. „შალკესთან“ მატჩის მერე, მაშინ როცა გელზენკირხენელები ზეიმობდნენ, კირსტენი, ზე რობერტო და ლუსიო გასახდელში ტიროდნენ. მათ ვუთხარი, რომ თავიანთი სიძლიერე სწორედ ახლა უნდა დაემტკიცებინათ. ზეიმი ყველას შეუძლია, ღირსეულად დამარცხება კი ძალიან ცოტას. თუმცა მაინც ბრაზი მომდის, 44-ე წუთზე ბერბატოვს რომ ის მომენტი გამოეყენებინა, 2:0-ზე „შალკეს“ აღარაფერი უშველიდა. ისე, ბიჭებით უკმაყოფილო ვარ, ფინალი ამხანაგური მატჩივით ითამაშეს. მონდომება აკლდათ, თუმცა მესმის მათი, „მოკლე სკამი“ გვქონდა, სეზონში 60-ზე მეტი შეხვედრა ჩავატარეთ და გამოფიტულები იყვნენ. ბალაკისთვის რომ მიებაძათ, არ წავაგებდით. იგი ნამდვილად სამაგალითო იყო, ტრავმირებულმა ითამაშა, მატჩისწინა დილის ვარჯიშზე ჯარიმებს ვამუშავებდით, ფეხი სულ დალურჯებული ჰქონდა და ისე სტკიოდა, მარჯვენით საერთოდ ვერ არტყამდა. გამაყუჩებლებით ითამაშა. ეს წვალება და თავდადება უნდა დაფასდეს. ეტყობა, ბუნდესლიგა და ქვეყნის თასი იმიტომ დავთმეთ, რომ ღმერთი რაღაც გრანდიოზულისთვის გვამზადებს.

მე მინდა ჩემპიონთა ლიგის თასი. არ გეგონოთ, რომ ჩემთვის. მინდა იგი მასაჟისტ დიტერ ტრჟოლეკს მივუძღვნა, რომელიც 27 წელიწადია ერთგულად ემსახურება გუნდს. ასევე მინდა ბაზის უფროსს ჰარალდ ვონერს ვაჩუქო. ეს ადამიანები ყველაზე ნაკლებ ხელფას იღებენ, მაგრამ ტიტულს ყველაზე მეტად იმსახურებენ. და ცხადია, ამ თასს რაინერ კალმუნდს მივუძღვნიდი. 100 კილომეტრს გავირბენდი ფეხშიშველა მაგ თასით იმისათვის, რომ რაინერისთვის მიმეტანა და გულში ჩამეხუტებინა.

ბალაკი და ზიდანის ოფლიანი მაისურა

სეზონის წინ ჩემპიონთა ლიგაში ტრიუმფისთვის კლუბის ხელმძღვანელობას პრემიების დაწესება მოვთხოვე. როგორ გგონიათ, რატომ? იმიტომ, რომ შეშლილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარ? არა, იმიტომ, რომ მე მჯეროდა ჩემი გუნდის. და ახლაც მჯერა. ვიცი, მეტყვით, რისი გჯერა, თქვენს წინააღმდეგ ხომ მსოფლიოს უმდიდრესი და საუკეთესო გუნდი დგასო. ამაზე ხუთ არგუმენტს გეტყვით, რომელთა გამოც ჩვენ „რეალის“ დამარცხება შეგვიძლია:

1. წლეულს ჩვენ ბევრი დაუვიწყარი მატჩი ჩავატარეთ, უმეტესობა სწორედ ჩემპიონთა ლიგაში. მაგალითად: 4:2 „ლივერპულთან“, 2:2 მანჩესტერში, 3:1 „იუვენტუსთან“, 2:1 „ბარსელონასთან“, 3:1 და 3:0 „დეპორტივოსთან“.

2. რა ელის „რეალს“ აგვისტოში? რა და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპი, რადგან ეს უმდიდრესი კლუბი ესპანეთის ჩემპიონატში მესამე ადგილს დასჯერდა. ჩვენ კი, როგორც გერმანის ვიცე-ჩემპიონებს, ჯგუფში ადგილი უკვე გარანტირებული გვაქვს.

3. გაიხსენეთ 1997 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალი. მაშინდელი „დორტმუნდი“ მაშინდელ „იუვენტუსთან“ 100-იდან 99 თამაშს წააგებდა. მაგრამ ერთხელ ყველამ ყველას შეიძლება მოუგოს. ასე მოხდა მაშინაც, „დორტმუნდმა“ 3:1 გაიმარჯვა.

4. „რეალი“ დიდი წნეხის ქვეშაა. კლუბმა საუკუნის იუბილე იზეიმა. ამ დროს კი ზიდანი, ფიგუ, რაული, რობერტო კარლოსი და კომპანია უტიტულოდ რჩებიან. ჩვენთანაც თუ წააგეს, მთელი ევროპის სამასხარაო გახდებიან.

5. ჩემი საუკეთესო არგუმენტი — ჩვენ გვყავს მიხაელ ბალაკი! კაცი, რომელმაც წლეულს ბუნდესლიგაში 17 გოლი გაიტანა, ჩემპიონთა ლიგაში — 6 და ამდენივე ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩებში. არ დაგავიწყდეთ — იგი ნახევარმცველია.

რაინერ კალმუნდი, რომლის გულისთვის ტოპი მზად არის ასი კილომეტრი ფეხშიშველმა გაირბინოს

REUTERS

ბალაკი ისეთი ფეხბურთელია, როგორიც საუკუნეში ორი ან სამი იბადება. გასული ასწლეულიდან ფრიც ვალტერსა და ფრანც ბეკენბაუერს შევადარებდი. იგი ყოველმხრივ საუკეთესოა, თავით თამაში აიღეთ, ორთაბრძოლა, დარტყმა. ყველაფერში შეუდარებელია. მისი „ბაიერნში“ გადასვლის ამბავი რომ გადაწყდა, ვუთხარი, მიხაელ, იცოდე, წლეულს თუ სეზონი ჩავაგდეთ, იცოდე, ფანები, „ტოპი წაეთრიეს“ კი არა „ბალაკო წაეთრიეს“ იყვირებენ-მეთქი. ამიტომაც, მან ყველაფერი ჩააქსოვა მატჩებში. იგი ნამდვილი ლიდერი გახდა. შარშან მის ნათქვამს ფეხბურთელები ყურადღებას არ აქცევდნენ და იცინოდნენ, ახლა კი უსიტყვოდ ასრულებენ. გასახდელიდან გამოსვლის წინ, ჩემი დამოძღვრის მერე, ბიჭებს სწორედ ის აგულიანებს. ამას წინათაც ვუთხარი: „მიხაელ, იფიქრე შენს ოცნებაზე, ჩინებული შანსი გაქვს ევროპის წლის საუკეთესო ფეხბურთელი გახდე. ზიდანი და ფიგუ უკვე გადაღეჭილები არიან, „რეალთან“ შეგიძლია მილიარდ ადამიანს დაუმტკიცო ეს“.

მინდა, ძალიან დიდი ვარსკვლავი გახდეს. თქვენ არ იცით, როგორია იგი. მზად ვარ, უარი ვთქვა ჩემპიონთა ლიგის მოგებისთვის დაწესებულ პრემიაზე, ოღონდ გუნდში დარჩეს. ყოველივე ამის მერე თუ მაინც ეჭვი გეპარებათ, რომ მოგების დიდი შანსი გვაქვს, მაშინ ამგვარად გიპასუხებთ: „რეალთან“ გამარჯვების შანსი უფრო დიდია, ვიდრე ზიდანის ოფლიანი მაისურის ხელში ჩაგდებისა, რაზეც ჩემი 13 წლის ვაჟი ტომი ოცნებობს.

ჩერჩილის მაგიური სიტყვა

თასის ფინალში მარცხის შოკს თავი დავაღწიეთ როგორღაც. ბიჭები ერთ დღეს დავასვენე და ორშაბათიდან მზადებას შევუდექით. დილით ცოტა წავავარჯიშე, თეორიულადაც დავმოძღვრე, მერე კი გლაზგოსკენ გაფრენის დრომაც მოატანა. ის-ის იყო უნდა ავფრენილიყავით, რომ მეულლის მობილურზე ზარის ხმა გაისმა. როზმა ტელეფონი მომაწოდა. „წარმატებას გისურვებ მამა“, — ჩამესმა ტომის ხმა. ამგვარი სიტყვები საჭიროა, მაგრამ „რეალთან“ უფრო გამბედაობა და რწმენა გვჭირდება. თამაშის დღეს დილით ბიჭები რომ ვნახე, ყველას სათითაოდ ხელი ჩამოვართვი, შეკაგულიანე. ამას მოჰყვა ბოლო თეორიული დარიგებები. მათ უკვე ყველაფერი იციან მეტოქეზე — სიმაღლე, წონა, ფეხის ზომა და ასე შემდეგ, ყველა ნიუანსი. მინდორზე გასვლის წინ კი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ მინისტრის ჩერჩილის ხუთ მაგიურ სიტყვას ვუმეორებ: „არასოდეს, არასოდეს, არასოდეს, არასოდეს დანებდე!“ თამაშის წინ ბოლო აზრები მიტრიალებს თავში, „რა გველის?“ ვეკითხები თავს. ნუთუ უშანსოდ ვართ დარჩენილი ამ დიდ გუნდთან? არა, ჩვენ თერთმეტი გლადიატორი ვართ, რომლებიც, თუ საჭირო გახდა სისხლსაც დაღვრიან. ისევე, როგორც თავის დროზე ამას ჩემი კერპი, მოკრივე მუჰამედ ალი აკეთებდა. მას ყოველთვის ჰქონდა რწმენა და ყოველთვის პირდაპირ მიდიოდა.

მერე ისევ ტაქტიკაზე ვფიქრობ. როგორ ითამაშებს „რეალი“, წინ მარტო რაული იქნება თუ მორიენტესიც? მიმართავენ თუ არა პრესინგს, გვექნება თუ არა კონტრშეტევების შანსი? ყველაზე მეტად კი ზიდანზე ვფიქრობ. ის ამჟამად საუკეთესოა მსოფლიოში. მისი თამაშიდან გამოთიშვა გამორიცხულია, ხელი უნდა შევუშალოთ, სხვა ფეხბურთელები უნდა ამოვკეტოთ. როცა თავისუფალ პარტნიორს ვეღარ მოძებნის, ეგებ თამაშის სურვილი დაეკარგოს.

კიდევ ერთი პატარა ნიუანსი: როცა კარის არჩევის დრო დადგება, უნდა ვეცადოთ, ისე ავირჩიოთ, რომ „რეალის“ გიჟი ფანები მეორე ტაიმში ჩვენი კარის უკან არ ისხდნენ.

ტოპი: ფეხბურთის ღმერთი არ არსებობს, არსებობს ზიდანი



გუნდები მოედანზე არიან, ბურთი ცენტრში დევს. ურს მაიერი თამაშის დასაწყებად ემზადება, მე კი თავს და ფეხბურთის ღმერთს ბოლოს კიდევ ერთხელ ვეკითხები: რა გველის დღეს?

ათი ზიდანი და როზის ამბორი

უკვე ღამის ორი საათია. სასტუმროში ვიღაც ჩვენთვის ცრემლების შემშრალებას კარაოკეს შოუთი ცდილობს. მე და როზი მარტონი ვართ ფოიეში. იგი წამოდგა, ხელი მომკიდა და საცეკვაოდ წამიყვანა. დარბაზში მარტო ჩვენ ორნი ვიყავით და ვცეკვავდით. მე თვალები დავხუჭე და წარმოვიდგინე, რა ახლოს იყო ჩემპიონთა ლიგის თასი, დაჯილდოების ცერემონიალზე რამდენიმე სანტიმეტრში ჩავუარე, მინდოდა ხელი შემეხო, მაგრამ ეს არ ვქენი, რადგან იგი ჩვენ არ გვეკუთვნოდა. ამის უფლება მხოლოდ მაშინ გაქვს, როცა მას მოიგებ და მეც ვფიცავ, რომ ოდესმე მოვიგებ, მოვა დრო და იგი ჩემიც იქნება, მოვა დრო და მეც ავწევ მას, მოვა დრო და მეც შემოვუვლი მინდორს მაგ თასით ხელში საპატიო წრეს. ახლა კი ვცეკვავ და ვიხსენებ... თამაში რომ მორჩა, მადრიდელთა მეკარე სესარი მოვიდა და მეუბნება: „თქვენ ევროპის საუკეთესო გუნდი ხართ, ყველაზე ლამაზი ფეხბურთით და საუკეთესო ტაქტიკით!“. რა მერე ამით, არც არაფერი. ტაბლოს ავხედე, იქ ბურთის ფლობის პროცენტული მაჩვენებელი წერია, 52 პროცენტი 48-ის წინააღმდეგ ჩვენს სასარგებლოდ. რა მერე ამით? არც არაფერი. უკვე მომბეზრდა სხვებისთვის ამდენი მილოცვა. ვდგავარ და შევყურებ, როგორ ზეიმობს „რეალი“, გული გახეთქვაზე მაქვს, თავში კი მხოლოდ ერთი კითხვა მიტრიალებს: „რატომ?“ ამ დროს მიხაელ ბალაკი შევნიშნე, ცხვირჩამოშვებული დგას. „ოჰ, ბალა, ნეტავ იცოდე, რამდენი ტიტული და სიხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რული გელის", — მე ხომ ვიცი, შენ ყველა ტიტულს მოიგებ, ვამბობ გულში...

ამას რომ ვამბობ, მახსენდება, მატჩის წინ როგორ ვარიგებდი ფეხბურთელებს და გული მომდის. რა უაზროდ დავკარგეთ ტიტულები. მახსენდება პირველი გოლი, როცა კარლოსმა რაული აუტიდან მეკარის პირისპირ გაიყვანა, და ბიჭებს გულში ვეუბნები, „ასი ათასჯერ გაგაფრთხილეთ, ყურადღებით იყავით და რობერტო კარლოსის აუტებს უფრთხილდით-მეთქი". ვიხსენებ მეორე გოლს, როცა იმავე კარლოსმა ბურთი ერთი შეხებით ჩააწოდა ზიდანს, ამან კი... და მახსენდება, რომ ათჯერ მაინც დავუტრიალე კასეტები და ვანახე, როგორ აწვდიან ბურთს საჯარიმოში ერთი შეხებით მადრიდელები.

საშინელებაა, ზიხარ მინდვრის გარეთ და არ შეგიძლია ჩაერთო თამაშში, თავს უძლურად გრძნობ, ასე იყო ტურინში, როცა 0:4 დავმარცხდით; ასე იყო ნიურნბერგში, როცა ლიდერობა დავკარგეთ.

ოჰ, ბალა, ნეტავ იცოდე, რამდენი ტიტული და სიხარული გელის

REUTERS

სამგზის „ვიცე". ყველაზე მეტად გული მაინც ბუნდესლიგაზე მწყდება. ჩემპიონთა ლიგა კი, ყველაზე დიდი ჯილდოა ნებისმიერი მწვრთნელისთვის, მაგრამ ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, გერმანიის ჩემპიონობა გვჭირდება. სწორედ იგი მოგვიტანს აღიარებას გერმანიაში. მიუხედავად ამისა, მაინც ვამყობ ჩემი გუნდით. რადგან მსოფლიოს საუკეთესო კლუბს დიდი პრობლემები შევუქმენით, ტოლი არ დავუდეთ, ვეთამაშეთ, ბოლომდე ვებრძოლეთ... ლამის ინფარქტმა დამარტყას, იმ მატჩის ბოლო წამები რომ მახსენდება. ბუტის სანტიმეტრებით აცილებული თავური, ორჯერ კარის ხაზიდან გამოტანილი ბერბატოვის დარტყმული ბურთი... ერთ რამეს უკვე მივხვდი, არავითარი ფეხბურთის ღმერთი არ არსებობს, უბრალოდ, არსებობს ერთი ისეთი ადამიანი, რომელიც ფეხბურთის ღმერთივით თამაშობს — ზინედინ ზიდანი. „რეალსა" და „ლევერკუზენს" შორის იმ დღეს განსხვავება სწორედ ზიდანი იყო. აღარც კი მახსოვს, იმ დღეს თამაშობდა თუ არა ფიგუ, ან მორიენტესი. ზიდანის ჯადოქრობებს კი ვერაფერი დამავიწყებს. ის რომ ბურთს იღებდა, თავი თეატრში მეგონა, როგორ ფლობს ბურთს... ეს ნამდვილი ხელოვნებაა. გოლზე შეგნებულად არაფერს ვამბობ. ეგეთი გოლის გატანა დღევანდელი ფეხბურთელებიდან მხოლოდ მიხაელ ბალაკს შეუძლია. ოჰ, ნეტავ ათი ზიდანი მომცა გუნდში... ისე, ოთხ ლუსიოზეც თანახმა ვარ.

ამ დროს მეუღლე შამპანურის ჭიქას მაწვდის. თვალები უნდა გავახილო და გამოვერკვე. საერთოდ, ლუდის მოყვარული გახლავართ, მაგრამ იმ დღეს ყველაფერს ვსვამდი, რასაც მაწვდიდნენ. როზიმ იცოდა რა მჭირდებოდა, მეც ვხვდებოდი, რომ ყველაზე ძვირფასი „თასი" ჩემს გვერდით იყო. შამპანური შევსვით, მერე როზიმ მარცხენა ხელი ლოყაზე ჩამომისვა და ნაზად მაკოცა, ეს იყო განსაკუთრებული და დაუვიწყარი მომენტი ჩემს ცხოვრებაში, ერთი ეგაა, იქვე მაგიდაზე ჩემპიონთა ლიგის თასი მაკლდა.

ტოპის პირველი სიტყვა

სამგზის „ვიცე" რა იქნება გაისად? ერთი ვიცი, ვინმემ, რომ კიდევ ვიცე-ჩემპიონობის გარანტია მომცეს, კლუბთან კონტრაქტს მაშინვე გავაუქმებ და გუდანაბადს ავიკრავ. ურთულესი სეზონი გველის, უკვე წარმომიდგენია, რამდენიმე ტურის შემდეგ მეხუთე ადგილზე რომ აღმოვჩნდეთ, რა დღეში ჩაგვყრიან.

ნახევარდაცვაში აღარ გვეყოლება ბალაკი და ზე რობერტო. ისინი გუნდის სული და გული იყვნენ. მათი შეცვლა კაკათი, სემაკითა და რინკით მომიწევს. სამწუხაროდ, 18 ვარსკვლავზე ვერც ვიოცნებებ. ჩვენი თამაშის სტილიც წარმოდგენილი მაქვს — წლევანდელივით ლაღად ვეღარ ვითამაშებთ, მეტ ყურადღებას დაცვას მივაქცევთ, რადგან ძალიან ბევრ გოლს ვუშვებთ. ისიც ვიცი, რას ვიტყვი პირველად, როცა გუნდი შვებულებიდან დაბრუნდება: „მეტი მუშაობა და კონცენტრაცია გვმართებს. მე არ შემიძლია თქვენგან მოვითხოვო ჩემპიონობა, მაგრამ შემიძლია მოგთხოვოთ უამრავი ინდივიდუალური შეცდომის აღმოფხვრა, იმ შეცდომებისა, რომლებმაც გასულ სეზონში ტიტულები დაგვაკარგინა".

BILD

სარა-ნინა ტოპმოდელერს მამა გაშიშვლების ნებას არ რთავს

ძალიან მაინტერესებს ბალაკის მომავალი „ბაიერნში". მე თუ მკითხავთ, ჰიცფელდმა უნდა დანიშნოს კაპიტნად, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა. ვიცი, მეტყვით, იმ გუნდში ხომ ოლივერ კანი თამაშობსო. გიპასუხებთ — კანი ძალიან დიდი ფიგურაა და მას კაპიტნის სამკლავური არ სჭირდება.

ჯერაც არ ვიცი, ვინ შეცვლის ბალაკს. ზოგიერთი მირჩევს, აგერ სატრანსფერო ბაზარზე ხომ შტეფან ეფენბერგიაო, მაგრამ გეტყვით, რომ იგი არ მჭირდება, ჩემი ტიპი არ არის, თანაც, რაც უფრო მნიშვნელოვანია, მას აშკარად დაღმასვლის ჟამი უდგას.

ისე, რომ ვუფიქრდები, მიუნხენში მუშაობა გამიჭირდებოდა. მგონია, რომ როცა ჰიცფელდმა „ეფე" მისი გამონათქვამის გამო სკამზე დასვა, ეგ გადაწყვეტილება თავად მან კი არა, უფროსებმა მიიღეს. მე, მაგალითად, ასე ვერ ვიზამდი. თავად წავიდოდი გუნდიდან, თუმცა მესმის, „ბაიერნს" ხომ ბეკენბაუერი, რუმენიგე და ჰაინესი განაგებენ, თავად, რომ იყვნენ სუპერ-ვარსკვლავები და საფეხბურთო საქმეებისა სხვებზე კარგად გაეგებათ. მე კი „ლევერკუზენშიც" ბედნიერი ვარ. მე და კალი (მენეჯერი რაინერ კალმუნდი) ერთმანეთს რომ თვალებში ჩავხედავთ, უკვე ყველაფერი ნათელია. როცა ასე აღარ იქნება, მაშინვე წამოვალ, არა აქვს მნიშვნელობა, რამდენწლიანი კონტრაქტი მექნება. ასე მარტივადაა ყველაფერი.

ახლა ცოტა ხანს დავისვენებ. მსოფლიო ჩემპიონატზე წავალ. იმას რა სჯობს, ბრაზილია და პორტუგალია რომ თამაშობენ, შენ კი ამ დროს ტრიბუნაზე ზიხარ. ამას ვერანაირი მალიორკა ვერ შეედრება თავისის გოლფის მოედნებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოპი, რივენიხი და ოჯახი

ისე, ყველაფერი კარგია, მაგრამ ჩემს მშობლიურ სოფელ რივენიხს არაფერი სჯობს. კარგ ამინდში მე და როზი ერთ ბოთლ ღვინოს ავიღებთ, ეზოში ვსხედვართ, ჩიტების ჭიკჭიკს ვუსმენთ და ბუნებით ვტკბებით. ფეხებთან ჩვენი ძაღლი ჩირა წევს და წკმუტუნით ვხვდებით, რომ მისთვისაც საამია ცხოვრება. იგი მიყურებს და, თუ დაინახა ხელში მანქანის გასაღები მიჭირავს, ბრაზდება, თვალებით მეკითხება, უკვე მიდიხარო. მე ვზივარ, შორს ვიყურები და მადლობას ვუძღვნი ღმერთს, ასეთი ცხოვრებისთვის, ასეთი სიყვარულისთვის, ასეთი ოჯახისთვის და ასეთი საშობლოსთვის. თან 1977 წლის 30 მაისი მახსენდება. მაშინ მე და როზი ჩემი „ფერარით“ საშინელ ავარიაში მოვყევით, სიკვდილს ბეწვზე გადავურჩით. მახსოვს, ვიწექი, ადგომა მიჭირდა, მაგრამ მთელი ძალ-ღონე მოვიკრიბე და ავდექი, ავდექი ზუსტად ისე, როგორც ახლა, ამ ტიტულების დაკარგვის მერე ავდგები.

რივენიხში წლევანდელ სეზონს ყველაზე ადვილად დავივწყებ. დავივიწყებ, ყოველგვარი ზედმეტი ლაპარაკის გარეშე. როზის წარმოდგენაც კი არა აქვს ფეხბურთზე, სწორედ ესაა ჩვენი 24-წლიანი ბედნიერი ცოლქმრული ცხოვრების საიდუმლო. მხოლოდ ასე შეიძლება გამოვერთო ყოველდღიურობიდან.

ტოპი როზის გარეშე? ეს წარმოუდგენელია. დილაობით ის მილაგებს ტანსაცმელს კარადიდან. ასე რომ არ ქნას, მაშინ ყოველდღე მწვანე პერანგით, ყვითელი პიჯაკით და კოპლებიანი შარვლით გავიდოდი სახლიდან. სამზარეულოში ტრიალზე არც ვლაპარაკობ. როზი რომ არა, ჩემი საუზმე ყოველდღე ცივი მინერალური წყალი იქნებოდა. მობილურზე მაღვიძარას დაყენებაც მან მასწავლა. აბა მე დარეკვის გარდა ამ აპარატებისა არაფერი გამეგება.

ოჰ, რა კარგია რივენიხი! ჩემი სახლიდან რამდენიმე ასეულ მეტრშია ჩემი ბავშვობის დროინდელი კაფე-ბარი „სალმტალშენკე“, სადაც ახლაც სიამოვნებით დავდივარ. იქ ჩემი მაგიდაც კი მაქვს, ბავშვობაშიც სულ იქ ვიჯექი-ხოლმე. ძველ მეგობრებთან ერთად ლუდს ვსვამ, ვსაუბრობ, ვმღერი. მე რომ ვმღერი, ისინი მეხუმრებიან, შენ ფეხბურთელთა კი არა, მომღერალთა გუნდი უნდა შეგექმნაო. კარტსაც ვთამაშობთ ხოლმე და უნდა ნახოთ, როგორ ვჩხუბობთ. ვგრძნობ, მათს თვალში და სოფლის თვალშიც მეფე ვარ...

ძალიან პატარა სოფელია, ხაბაზი და ყასაბიც კი არა გვყავს, თუმცა გვაქვს ეკლესია. საერთოდ, მორწმუნე ვარ. როგორც შემიძლია ათი მცნებას ვიცავ. განსაკუთრებით ვცდილობ, ერთ-ერთი სულ მახსოვდეს: გიყვარდეს მტერი შენი, ვითარცა თავი შენი. ბავშვობაში მშობლები კვირაობით 10 საათზე მაღვიძებდნენ, რათა ეკლესიაში წავსულიყავი, მაგრამ მე 11-მდე არ ვდგებოდი, მერე კი ფეხბურთი უნდა გვეთამაშა და აბა ლოგინში რა გამაჩერებდა?! ამის გამო სულ ჩხუბი გვქონდა სახლში.

დღეს კი თავად ვარ მამა. ბავშვის აღზრდაში ჩემი დევიზი ეს არის: არ იპარო, პატივი ეცი საზოგადოებას და მართლად იცხოვრე! ვცდილობდი და ვცდილობ, სწორედ ეს ჩავუნერგო ჩემს შვილებს.

უფროსი შვილი გოგოა, სარა-ნინა. როცა სახლში მეგობერი ბიჭი მოჰყავს, თავს ძლივს ვიკავებ. სულ ვცდილობ, გავაკონტროლო, გავიგო, ვისთან დადის. ერთ-ერთს იმიტომ დაშორდა, რომ ის ლამაზი ტანსაცმლის ჩაცმას უკრძალავდა. სწორადაც მოიქცა. სულ მახსოვს დეიდაჩემის ნათქვამი, „დატკბი ცხოვრებით სანამ ახალგაზრდა ხარ!“ ნინა საბანკო საქმეს სწავლობს და იმავდროულად პოპ-მომღერლის კარიერაზე ფიქრობს. ამას წინათ ეროტიკული ფოტოების გადაღების ნებართვა მთხოვა, უარი არ მითქვამს, აი შიშველი გადაღება კი აკრძალული აქვს. მაგის ნებას არასდროს მივცემ.

მეორე შვილი, ვაჟი დინო, ახლა „ბოხუმში“ თამაშობს. ფეხბურთის ისეთივე ფანატია, როგორიც მე. სულ პატარა იყო, ფეხბურთის თამაში რომ დავიწყეთ ერთად. მისი პირველი მოედანი მისივე საძინებელი ოთახი გახლდათ. ჩემი კარი ფანჯარა იყო, მისი — ოთახის კარი. ეჰ, რამდენი რამ დაგვიმტრევია...

არასდროს ვუთმობდი, სულ ვუგებდი, ბრაზდებოდა და სულ ჭიხუბობდით. ყველაფერი კი როზის წივილ-კივილით სრულდებოდა.

ტომი ჯერ 13 წლისაა. სამწუხაროდ, მას იმდენ დროს ვერ ვუთმობ, რამდენიც მინდა. ამიტომ ცოტა განებივრებული მყავს. როცა რამე თამაში გვაქვს და როზიც მიმყავს, მეუბნება, დედას იმ შემთხვევაში გამოვუშვებ, თუ მოწინააღმდეგე გუნდის მაისურას ჩამომიტანთო. ამას წინათ, მანჩესტერში თამაში რომ დამთავრდა, დამირეკა და მისაყვედურა, ამ წუთას ტელევიზორში დაგინახე, თამაში რომ მორჩა, გვერდით ვან ნისტელროიმ ჩაგიარა, მას მაისურა ისევ ეცვა, შენ კი, რომ შეხედე, რატომ არ გამოართვიო.

ასეთი იყო ჩემი განცდები და ფიქრები მაისში. ახლა კუთვნილი შვებულება მაქვს. როზი მეუბნება, საგზურები უკვე დავჯაშნეო, თუმცა არ მიმხელს სად, სიურპრიზს მიმზადებს. ცოტა ხანს დავისვენებ, მერე კი წინ ახალი სეზონია. ნეტავ, რას მიმზადებს განგება?

ტოპიმ ბორის ყიკოვიჩი ანუგეშა და როზისთან საცეკვაოდ წავიდა

REUTERS

ეროვნული ბიბლიოთეკა

MONEY, MONEY, MONEY...



ფეხბურთი ბიზნესია და დიდი მოგება მოაქვს. ჩემპიონთა ლიგაც სწორედ სარფისთვის მოიგონეს, რის დასტურსაც ქვევით იხილავთ. აქ განვლილ შეჯიბრებაში მონაწილე გუნდების შემოსავალია მოყვანილი, თუმცა შევნიშნავთ, რომ ეს მხოლოდ ფეხბურთით მიღებული თანხებია, ანუ ცხრილში სატელევიზიო და სარეკლამო შემოსავლები არ არის დამატებული.

UEFA CHAMPIONS LEAGUE	ლიგაში გასვლისთვის	ჯგუფურ ეტაპზე თამაშისათვის	პრემია ქულებისთვის	პლეი ოფში თამაშისათვის	ჯამი
რეალი	1,55	3,72	3,1	11,78	20,15
ლივერპული	1,55	3,72	2,32	9,3	16,89
ბარსელონა	1,55	3,72	2,63	5,58	13,48
მანჩესტერი	1,55	3,72	2,48	5,58	13,33
ბაიერნი	1,55	3,72	2,94	2,48	10,69
დინამო კიევი	1,55	3,72	2,32	2,48	10,07
ლივერპული	1,55	3,72	2,32	2,48	10,07
პანათინაიკოსი	1,55	3,72	2,17	2,48	9,92
რომა	1,55	3,72	2,01		7,28
იუვენტუსი	1,55	3,72	2,01		7,28
გალათასარაი	1,55	3,72	1,86		7,13
სპარტა	1,55	3,72	1,86		7,13
არსენალი	1,55	3,72	1,7		6,97
ბოავიშტა	1,55	3,72	1,55		6,82
ნანტი	1,55	3,72	1,55		6,82
პორტუ	1,55	3,72	1,55		6,82
დორტმუნდი	1,55	1,86	0,93		4,34
ლიონი	1,55	1,86	0,93		4,34
მალიორკა	1,55	1,86	0,93		4,34
სელტიკი	1,55	1,86	0,93		4,34
ლილი	1,55	1,86	0,77		4,18
ლოკომოტივი	1,55	1,86	0,77		4,18
პსვ	1,55	1,86	0,77		4,18
ლაციო	1,55	1,86	0,62		4,03
ოლიმპიაკოსი	1,55	1,86	0,62		4,03
ფეიენორდი	1,55	1,86	0,62		4,03
შალკე	1,55	1,86	0,62		4,03
ანდერლეხტი	1,55	1,86	0,46		3,87
კიევი	1,55	1,86	0,46		3,87
რუსენბორგი	1,55	1,86	0,46		3,87
სპარტაკი	1,55	1,86	0,31		3,72
ფენერბაჰჩე	1,55	1,86	0		3,41

შენიშვნა: თანხები მოცემულია მლნ. ამერიკულ დოლარში.

ფინალი მკვლელობის თანხლებით

პაატა კვანტალიანი

ფინალის წინ როტერდამში ლივერპულიდან წამოღებული უეფას თასი ჩაიტანეს და ფინალის შემდეგ იქვე დატოვეს, უბნიდან უბანშიც არ გადაუტანიათ, „ფეიენოორდი“ ხომ იმ „დე კუიპზე“ ბინადრობს, სადაც გადამწყვეტი მატჩი გაიმართა.

უეფას თასის წლევანდელ გათამაშებას, რაღა თქმა უნდა, თავისი ფავორიტები ჰყავდა, ეს თასი ხან „მილანისა“ „იყო“, ხან „ინტერისა“, ხან „დორტმუნდისა“, აი, „ფეიენოორდი“ კი მხოლოდ ბოლოს გაიხსენეს, როცა თასამდე ერთი ხელის გაწვდენაღა რჩებოდა.

უეფას თასს ღირსეული მფლობელი ჰყავს. „ფრაიბურგი“, „რეინჯერსი“, „პსვ ეინდჰოვენი“, „ინტერი“ — ამათთან იომეს ჩემპიონთა ლიგიდან უეფაზე გადასროლილმა როტერდამელებმა და მართლაც რომ დიდებულად იომეს: „ფრაიბურგთან“ მარცხდებოდნენ და თამაში შემოაბრუნეს, ეინდჰოვენელებთან გოლი ბოლო წუთზე გაიტანეს, „ინტერი“ კი მისსავე „სან სიროზე“ დასცეს, და ფინალი...

ბოლო წლებია, „უეფას თასი“ ყურს ეხამუშება, თვალი ჩემპიონთა ლიგისკენ გარბის და შესაბამისად, უეფას თასის პრესტიჟიც დაეცა. მაგრამ გონებაში შარშანდელი და წლევანდელი უეფას თასების ფინალებს გადავხედოთ და დავრწმუნდებით, რომ სალიგო მატჩების უმრავლესობას სჯობდა.

„ფეიენოორდი“ — „დორტმუნდი“ კარგი თამაში გამოვიდა, ყველაფერი იყო, რაც ნადი ფეხბურთისთვის არის საჭირო: ზღვარს გადასული ნერვიულობა, ერთი მეორეზე უკეთესი მომენტები, დიდებული გოლები, თავგანწირვა და მსაჯისგან გაწირვა...

დიდხანს შეიძლება კამათი, უნდა გაეძევებინა თუ არა პორტუგალიელ არბიტრს მეცო პერეირას იურგენ კოლერი, რომელმაც თავის საჯარიმოში მეკარესთან პირისპირ გასული იონ დალ ტომასონი წააქცია. გერმანელთა მწვრთნელმა მათიას ზამერმა მსაჯის გადაწყვეტილება ასე შეაფასა: „საფეხბურთო წესებით მსაჯი სწორად მოიქცა, მაგრამ ადამიანური მხარეც ხომ არის — პენალტი საკმარისი სასჯელი იყო და ორმაგად აღარ უნდა დავესაჯეთ, თანაც ფინალში“.

ასეა თუ ისე, „დორტმუნდი“ კაცნაკლული დარჩა, პენალტიც გაუშვა და რამდენიმე წუთში პიერ ვან ჰოიდონკმა, ფეიენოორდელთაგან საუკეთესომ, უზადო საჯარიმო დარტყმით ანგარიში გაარა. და ამით თითქოს ყველაფერი უნდა დამთავრებულიყო...

მაგრამ ამით ყველაფერი არ დამთავრებულა და ვნახეთ ის, რასაც ზოგნი პროფესიონალიზმსა და კლასს უწოდებენ, ზოგნი კი — გერმანულ ხასიათს. ალბათ, ამის გამოც იყო, რომ ნეიტრალურ ქომაგთა უმეტესი ნაწილი სწორედ „დორტმუნდს“ ქომაგობდა.

და მაინც, ზემოთაც აღვნიშნეთ და კიდევ გავიმეოროთ — „ფეიენოორდს“ თასი დამსახურებულად ერგო. გუნდმა, რომლის მწვრთნელის — ბერტ ვან მარვიიკის სახელი ჰოლანდიის გარეთ ბევრმა არ იცის, რომლის ლიდერებიც ვარსკვლავ-ფეხბურთელთა ჩამოთვლისას ძნელად თუ ვინმეს გაახსენდება, გამართული ფეხბურთი ითამაშა. ეს აღარ არის ის „ფეიენოორდი“, ოცდაერთი წლის წინათ მამაძაღლობით რომ სცადა თასების მფლობელთა თასის ნახევარფინალიდან თბილისის „დინამოს“ გამოგდება და ხელი მოეცარა. სხვათა შორის, თასების თასი ისე ჩაჰბარდა ისტორიას, როტერდამელებს მისი მოგება არ ელისრათ. სამაგიეროდ, ჩემპიონთა თასი 1970 წელს, უეფასი კი 1974-ში მოიგეს. ეს მათი მესამე ევროთასი გახლავთ.

ხოლო ამ ფინალს ჩაშლაც ელოდა — ორი დღით ადრე მოკლეს ჰოლანდიელ ულტრანაციონალისტთა ლიდერი პიმ ფორტეინი, ფრიად პოპულარული ადამიანი და „ფეიენოორდის“ თავგადაკლული ფანი. ისიც ითქვა, თასის ფინალი მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების მერე ჩავატაროთო, მაგრამ გადაიფიქრეს. სწორადაც მოიქცნენ — სამუნდიალო ემოციები უეფას თასის ფინალს მეტად დააკნინებდა.

პენალტი: იურგენ კოლერმა იონ დალ ტომასონი წააქცია

„ფეიენოორდმა“ უეფას თასი მეორედ მოიპოვა

ფეიენოორდს გაუმარჯოს! — პიერ ვან ჰოიდონკი თასით ხელში



ეროვნული ბიბლიოთეკა

ის იგივეა მარად და მარად:
ტორპედო, ლოკომოტივი, დინამო, ვიტ ჯორჯია

თითქმის ყველაფერი განმეორდა — „ტორპედომ“ იჩემპიონა, „ვერცხლი“ „ლოკომოტივმა“ არავის დაუთმო, „დინამო“ ისევ „ბრინჯაოს“ დასჯერდა, ხოლო ფოთელებისგან და ბათუმელებისგან ხელნაკრავმა ინტერტოტომ ვეტერინარები მოხიბლა.

ამ მხრივ მეთორმეტე და მეცამეტე ჩემპიონატები გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ერთმანეთს და ძალიანაც თუ არ მოვინდომებთ, მათ შორის განსხვავებასაც ვერ შევამჩნევთ.

ჩაწყობილი თამაშები, უხარისხო მოედნები, გათამაშების დაბალი დონე და ქართული ფეხბურთის გულმოკლული ქომაგი — ყველაფერი ხომ ძალიან ნაცნობია და წლობით მოსდევს ეროვნულ ჩემპიონატს.

შარშან 28 ივლისიდან მოყოლებული, მხოლოდ სამი მატჩი შემორჩა მეხსიერებას. „კოლხეთი“ — „ტორპედო“, „ლოკომოტივი“ — „დინამო“ და „ტორპედო“ — დინამო“ რომ არა, გასახსენებელიც არაფერი იქნებოდა. დასკვნითი ეტაპის იმ სამ მატჩში დავრწმუნდით, რომ საქართველოში ქომაგს ჯერ კიდევ უყვარს ფეხბურთი. გულშემატკივარს არ დასჩლუნგებია გრძნობები და ცოტა მეტი ფინანსური შესაძლებლობა, გაათკეცებული ობიექტურობაა საჭირო, ჩემპიონატმა შვებით რომ ამოისუნთქოს.

გასაკვირი კია, მაგრამ საბოლოოდ ყველას დამსახურებისამებრ მიეზღო. შეიძლება ითქვას, სამართალმა პური ჭამა. ჩვენც ნაღვანს ნუ დავუკარგავთ მათ, ვინც თავი გამოიჩინა, გავარდნას გადარჩენილებს და განწირულებსაც შევახსენოთ, რომ წინ მომდევნო ჩემპიონატია.

მამუკა კვანტალიანი

ავანსად დატოვებული „ოქრო“

პირველობის საწყის ეტაპზე რევაზ ძოძუაშვილს დანარჩენი თერთმეტისგან გამორჩეული და დაბალანსებული გუნდი ჰ ყავდა. რიონისპირელები ერთმანეთის მიყოლებით უსწორდებოდნენ მეტოქეებს. სადაც სჭირდებოდათ, ქულებს სხვებსაც უნაწილებდნენ და მოკავშირეებით გაძლიერებულებმა მოაწიეს ფინიშის სწორზე.

მერე და მერე „ტორპედოს“ აწყობილ მექანიზმში რაღაც მოიშალა. გუნდში ურთიერთობებიც გართულდა, რამაც კინაღამ მთელი წლის შრომა წყალში გადაყარა.

მაგრამ რევაზ ძოძუაშვილი გამოცდილი მწვრთნელია. მას სხვებზე უკეთ მოეხსენება ქართული საკლუბო ფეხბურთის ავანჩავანი. „მიხიჩას“ წარსულის გამოცდილებაც გვარიანად უმაგრებდა ზურგს. ძველი შეცდომა ძოძუაშვილმა აღარ გაიმეორა და გამარჯვებულმაც დატოვა ქუთაისი. ამჯერად მას არ შეშლია დროულად წასვლის ფასი.

„ტორპედომ“ იმიტომაც იპირველა, სხვებზე უკეთესი და გამოცდილი მოთამაშეები რომ ჰყავდა (ასათიანი, დიდავა, იონანიძე...). ჩემპიონატის სხვადასხვა დროს ლიდერობის ტვირთს სხვადასხვა ფეხბურთელები იკიდებდნენ ზურგზე.

თუ რიონისპირულ კლუბს წელგამართულმა პატრონმა არ უგანა, ქუთათურები მუდამ იტრიალებენ ქართულ საფეხბურთო ელიტაში. ეს მაინც სამომავლო საქმეა, მანამდე კი — ზედიზედ მესამედ — „ტორპედო“ ჩემპიონია!

რკინიგზა ორ „ვერცხლად“

პირველი და მეორე ეტაპების გასაყარზე ვინ იფიქრებდა, რკინიგზელები საჩემპიონო მარათონში თუ ჩაერთვებოდნენ. ის კი არა, პრიზიორთა შორის მათი გამოჩენაც საეჭვო ჩანდა.

„ლოკომოტივმა“ ახალი სისხლი დროულად გადაისხა. რადიკალურმა ცვლილებებმა გუნდს სულზე მოუსწრო. მოსკოველი თანაკლუბელებისგან ნათხოვარმა ზაზა ჯანაშიამ კი რკინიგზელთა შეტევა გაამწვავა და კონკურენტებსაც ბევრი თავსატეხი გაუჩნდათ.

კიდევ ერთხელ დამტკიცდა: საქართველოში გამართული ფეხბურთის მოთამაშე ერთ მობურთალს ბევრი რამ შეუძლია და არა აქვს მნიშვნელობა, რამდენი ხანია არ უთამაშია, ან არის თუ არა მომატებული წონაში.

მწვრთნელთა წყვილზე ყურადღება არ გავამახვილოთ, არ იქნება. გია ჯიშკარიანმა და სერგო კოტრიკაძემ ერთობლივად მოახერხეს გუნდის მოსულიერება. ჯიშკარიანი პირველად დადგა მესაჭედ, ხოლო სერგო კოტრიკაძეს მწვრთნელობის სკოლა უკვე მანამდე გავლილი ჰქონდა. ქართული ფეხბურთის ვეტერანმა ერთი ტიტული ადრეც მოიხვეჭა, „ვიტ ჯორჯიასთან“ ერთად ქართულ „ვერცხლს“ ხომ ფლობდა.

ჯიშკარიანის ემოციურობას კოტრიკაძის სიმშვიდე აზავებდა. პირველი ფეხბურთე-

ფოტო: ალბერტ ალფაროვი



ზედიზედ მესამედ გაჩემპიონებამ ქუთაისი სიხარულის მორევში ჩაძირა

ბადრი კეკელიძე

ტორპედოელმა სვეასტი თოდუამ (მარჯვნივ) დინამოელ გიორგი მიქაძეს ბურთი არ დაუთმო

ლებისგან ძალების მაქსიმალურად დახარჯვას მოითხოვდა, მეორე ამას მშვიდად, თითქმის თხოვნით აღწევდა.

ერთი ძალიან ახლობელი იყო რკინიგზელებისთვის. განსხვავება ასაკშიც თითქმის არ იგრძნობოდა, მეორე კი ავტორიტეტი გახლდათ და მის ნათქვამს ძირს არ უშვებდნენ ფეხბურთელები.

ასე გამოიჭედა მეორედ რკინიგზული „ვერცხლი“, რომელიც ყველაფრის გათვალისწინებით ზედგამოჭრილი შედეგია ჯერაც ჩამოყალიბების გზაზე მავალი „ლოკომოტივისთვის“.

„ბრინჯაო“ ხორვატულად

ათგზის ჩემპიონს ისე მისდიოდა საქმეები, ჩემპიონობისთვის ბრძოლა კი არა, საპრიზო ექვსეულში მოხვედრა იყო საეჭვო. მერე გაჩნდა დიდი ფული და დაიწყო... ბადრი პატარკაციშვილის დაფინანსებულმა „დინამომ“ გუნდი სანახევროდ თბილისში დააკომპლექტა, უცხოურ შეკრებაზე ხორვატი ივო შუშაკიც ჩაუყენა სათავეში და საჩემპიონო აღმართზე სვლაც დაიწყო. ვერ უწიეს დინამოელებმა მწვერვალს. მათი გაპირველება არც იქნებოდა მართებული, რადგანაც შედეგი სამთვიანი მონდომებით არ მიიღწევა.

იმას, რასაც „დინამო“ გეგმავს, გაცილებით მეტი დრო და ფული უნდა და დარწმუნებული ვარ, კლუბი ჩანაფიქრს მომავალში აისრულებს. მანამდე კი საფეხბურთო ფორტუნამ არც „ტორპედო“ გაწირა და არც „ლოკომოტივი“, მთელი წელიწადის ნავაფი წყალში არ ჩაუყარა.

ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე „დინამო“ ყველას რომ სჯობდა, ამას ბევრი ფიცი-მტკიცი არ სჭირდება. ივო შუშაკმა დაცვაში საიმედო თამაში ასწავლა შეგირდებს. შუა ხაზს შრომა შეაყვარა, მხოლოდ თავდამსხმელები ვერ მომართა თავისებურად ხორვატმა. „დინამო“ საგოლე მომენტებს აურაცხელს კი ქმნიდა, თუმც უმრავლესობას არაზუსტი საბოლოო დარტყმებით ანიავებდა.

ივო შუშაკს უბრალოდ დრო აღარ ეყო. გვიან ჩაბარეს უცხოელ სპეციალისტს გუნდი. ბოლო გადამწყვეტ თამაშში მთელი ქუთაისი რომ ფეხზე დადგებოდა და თბილისელებს არაფერს გამოატანდა, თავიდანვე ნათელი იყო. სამ თვეში მოპოვებული უეფას თასის საგზური ურიგო შედეგად არ ჩაითვლება და, ალბათ, შუშაკიც დალევს ჩემპიონობის სადღეგრძელოს, ოღონდ ერთი წლის შემდეგ.

ტოტო და ჯორჯია

ფოთის „კოლხეთმა“, რომელსაც ობიექტურად ეკუთვნოდა მეოთხე „საევროპო“ ადგილი, ჩემპიონატის დასრულებამდე რამდენიმე ტურით ადრე წერილით აცნობა ფეხბურთის ფედერაციას, ჩვენი იმედი აღარ გქონდეთ, ინტერტოტოზე დასახარჯი ფული არ გაგვაჩნიაო. კოლხელებმა უარით გვარიანი სირცხვილიც აირიდეს: წლეულს არ ჰყავდა სოსო ფილიას ის გუნდი, ევროპაში ერთ წრეს მაინც რომ გაივლიდა. ქართული ფეხბურთის თავკაცებმა „ბათუმს“ მიმართეს, იქნებ თქვენ ინებოთო, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. აჭარიდანაც პასუხი მიიღეს: ინტერტოტო ჩვენთვის მხოლოდ ხარჯიაო.

თბილისის „მერანი“ შეუწუხებიათ. არც ღირდა. უპატრონოდ დარჩენილ და ფინანსურად შეჭირვებულ გუნდს რა შეეძლო.

ფედერაციას მხსნელად ქვეექვსეულში გამწესებული „ვიტ ჯორჯია“ მოევლინა. ვეტერინარებმა ევროტურნირებზე წლის გაცდენა არ ინდომეს და თანხმობა განაცხადეს.

სიმართლე ვთქვათ, ნამდვილად ცოდვა იყო ვიტელთა ლიგაში დასარჩენად თამაში, მაგრამ მწვრთნელთა განუწყვეტელმა ცვლამ და ჩემპიონატის მსვლელობისას წამყვანი ფეხბურთელების გასხვისება-დაბრუნებამ სხვა შედეგიც ვერ მოიტანა.

აქ შეგვეძლო წერილი დაგვესრულებინა, კიდეც, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს, სხვებიც ვახსენოთ. ბოლნისის „სიონმა“, რომელიც თავისებური კოლორიტის გუნდია, უპრობლემოდ შეძლო ლიგაში დარჩენა. გაუჭირდა, ბევრიც ინერვიულა, მაგრამ ასევე მოახერხა გადარჩენა ზესტაფონის „მეტალურგმა“.

შავ დღეში ჩაიგდო თავი რუსთავის „გორდამ“, მაგრამ, როგორც ადრე, ივი წლეულსაც ძმებმა კილასონიებმა იხსნეს: უფროსმა, ვარლამმა, მწვრთნელობა იკისრა, უმცროსმა —, გიამ, სასიცოცხლო სული შთაბერა რუსთაველთა შუა ხაზს, დანარჩენებიც გამოფხიზლდნენ და გადათამაშებაში მთელი სეზონის ნაწვალები გაუნიავეს „ქობულეთს“.

წყალტუბოს „სამგურალმა“ და ლანჩხუთის „გურიამ“, ყველაზე გაჭირვებულებმა უძლიერესთა შორის, უმაღლეს ლიგაში ერთი საფეხბურთო წელიწადიღა იწვალეს და უკანვე, პირველ ლიგაში დაბრუნდნენ.

უმაღლესის ათეულს პირველი ლიგიდან ორი გუნდი ემატება — ქიზიყის „მილანმა“ მესამე ცდაზე აისრულა ოთხწლიანი ნატვრა, ხოლო გორის „დილამ“ ერთწლიანი შესვენებაღა იკმარა და კუთვნილი ადგილიც დაიბრუნა.

I-VI ადგილებისათვის

ტორპედო	10	7	1	2	12:5	48
ლოკომოტივი	10	7	1	2	18:6	47
დინამო	10	8	1	1	20:1	44
კოლხეთი	10	2	2	6	9:16	26
მერანი	10	2	0	8	7:24	23
ბათუმი	10	1	1	8	5:19	23

VII-XII ადგილებისათვის

ვიტ ჯორჯია	10	5	3	2	12:8	35
სიონი	10	5	1	4	18:13	29
მეტალურგი	10	5	2	3	16:10	27
გორდა	10	5	3	2	20:11	25
სამგურალი	10	5	1	4	11:10	23
გურია	10	0	0	10	4:29	8

ბომბარდირები

18 - დავითაშვილი	ლოკომოტივი
17 - პოროშინი	ტორპედო
14 - ენდელაძე	მეტალურგი
13 - წივწივაძე	კოლხეთი
მ. ბობოხიძე	დინამო
12 - ბურდული	დინამო
11 - ზ. ქუთათელაძე	ტორპედო
აფხაზავა	ბათუმი
ისიანი	სიონი

დავით ყიფიანის თასი

26 მაისი. თბილისი
ეროვნული
10 000 მაყურებელი

ლოკომოტივი 2:0 ტორპედო

1:0 დავითაშვილი (34), 2:0 ჯანაშია (64)

ლოკომოტივი: გ. ლომაია, ბალაშვილი, ორბელაძე, ლ. სალუქვაძე, ონიანი, გელა ქორიძე (დავითნიძე 90), ჭიჭვეიშვილი (ზ. ლაცაბიძე 88), სირაძე, კ. გოგიჩაიშვილი, ზ. ჯანაშია, დავითაშვილი (რუსია 67)

მწვრთნელები: სერგო კოტრიკაძე, გია ჯიშკარიანი

ტორპედო: სტურუა, აბრამიძე, მახვილაძე, ხვადაგიანი, თოდუა (ახალკაცი 69), ლ. ჭელიძე, ქემოკლიძე, დიდავა (შ. ბაბუნაშვილი 46), იონანიძე, მ. ასათიანი, პოროშინი (ზ. ქუთათელაძე 60)

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

გაფრთხილება: დიდავა (19), ბალაშვილი (57), ასათიანი (85)

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); დ. სანაია (სოხუმი)

რკინიგზელი გელა ქორიძე ტორპედოელ მცველებს გასცდა

მთავარია სამზარეულო

მამუკა კვანტალიანი

26 მაისს ქუთაისელი ქომაგები „ეროვნულის“ სათამაშო მოედანს არ შესევიან. მათი იმედი „ლოკომოტივმა“ და ძალიან ინერტულად მოთამაშე „ტორპედომ“ ფინალის დასრულებამდე დამარხეს. ძალიან გაბრაზდნენ რიონისპირელები, სულ ქუთაისის გამყიდველები უძახეს მათ, ვისაც რამდენიმე დღის წინ ეთაყვანებოდნენ.

დიახ, „ლოკომოტივმა“ სულიკო დავითაშვილისა და ზაზა ჯანაშიას გოლებით თასი დედაქალაქში დატოვა. „ეროვნულზე“ შეკრებილებმა კი საბოლოოდ დაასკვნეს: ასეთი უხეირო თამაში თასის ფინალს არ მოსწრებიაო.

„ტორპედომ“ სამიდან ორი ფინალი წააგო ქვეყნის უმთავრეს სარბიელზე, „ლოკომოტივმა“ ორიდან ორივე სათავისოდ გამოიყენა და საჩემპიონატო „ვერცხლს“ დავით ყიფიანის სახელობის ახალთახალი თასიც შემატა.

„დინამოსთან“ გადამწყვეტმა დაპირისპირებამ დიდი ფსიქოლოგიური და ფიზიკური ენერგია წაიღო. გამოფიტული ტორპედოელები ეროვნულ სტადიონზე ძლივს დალასლასებდნენ. რიონისპირელთა მოქმედებებში თამაშის არავითარი სურვილი, არავითარი სტიმული არ იგრძნობოდა. რკინიგზელებს კი გამარჯვება სწყუროდათ. თასის მოგება ჩემპიონატის ბოლო ტურში ხელიდან გაფრენილი ოცნებისგან მიყენებულ ტკივილს გაანელებდა და „ლოკომოტივსაც“ ნელნელა მიჰყავდა ფინალი ლოგიკურ დასასრულამდე.

ქუთაისელები თამაშზე მეტად კლუბში აწეწილ საქმეებზე ნერვიულობდნენ. 26 მაისს, 2 საათზე, გუნდიდან წავიდა მთავარი მწვრთნელი. პრესკონფერენციაზე სოსო ფრუიძემ კი გვითხრა, რევაზ ძოძუაშვილი შეუძლოდ შეიქნაო, მაგრამ „ტორპედოს“ შინაურ სამზარეულოში ჩახედული ხალხისგან შევიტყვეთ, ახალი გუნდის ჩამოყალიბების იდეამ მწვრთნელს საჩქარო გადაწყვეტილება მიაღებინაო. როგორც ირკვევა, „მიხიჩამ“ მოვლენებს დაასწრო.

ფეხბურთელები მაინცდამაინც არც ფინანსური მდგომარეობით იყვნენ კმაყოფილი. მათ ფინალის დღესაც კი არ მიელოთ „დინამოს“ წაქცევისთვის და ჩემპიონობისთვის შეპირებული ორ-ორი ათასი დოლარი. ამას დაუმატეთ გუნდში არსებული დაძაბული ვითარება, ქომაგთა ეჭვები და უნდობლობა და ნათელი გახდება, „ტორპედოს“ რატომაც არ ეფეხბურთებოდა.

...ალბათ, რკინიგზელებმა იცოდნენ, რაც ტრიალებდა მეტოქის ბანაკში. ამიტომ თავიდანვე საქმეებიც ისე მოაწყვეს მოედანზე, რომ რიონისპირელებს პირველ ტაიმში მეკარე ლომაია ერთხელაც არ შეაწუხებინეს. თავად სულ უფრო სახიფათოდ იწევდნენ სტურუას კარისკენ და გაცილებით ადრეც გაიხარებდნენ, ზაზა ჯანაშიას ორჯერ საბოლოო დარტყმა რომ გამოსვლოდა. ჯანაშიამ მაინც გაიტანა, ყირაზეც გადავიდა, თუმც უამისოდაც, ალბათ, არაფერი შეიცვლებოდა.

ერთადერთი დასამახსოვრებელი მთელ თამაშში დავითაშვილის გოლი იყო. აბრეზამ სტურუას კარში უკვე სამშვიდობოსკენ მიმავალი ბურთი შეაბრუნა. პოზიციადაკარგულმა რკინიგზელმა ფეხი აიქნია და ქუსლით შეაგდო.

მეორე ტაიმის მიწურულს რიონისპირელებმა რამდენჯერმე გაიწიეს რკინიგზელთა კარისკენ, მაგრამ ლომაიამ ყველას აგრძნობინა, რომ 26 მაისს ის გოლის გამშვები არ იყო.

...ჯერ მსაჯები და მატჩის ინსპექტორი დაადგნენ სამთავრობო ლოჟისკენ აყოლებულ საფეხურებს, მაგრამ ქუთაისელი ქომაგებისგან „დალოცვილებმა“ მალევეიბრუნეს თავქვე პირი. გასახდელშიც მხნედ ჩავიდნენ, ანკი რა მათი საგლოვი იყო „ტორპედოს“ პრობლემები.

მერე „ტორპედო“ შეუყვა კიბეს. აქ კი დადუმდნენ საყვარელი გუნდის თავგადაკლული ქომაგები, სინანულით დასცქეროდნენ თავზე ფეხბურთელებს. ეტყობოდათ, ბოლომდე მაინც ვერ გაიმეტეს 22 მაისს ქუთაისისთვის უზომო სიხარულის მომტანები.

...თასი „ლოკომოტივის“ კაპიტანმა კახა გოგიჩაიშვილმა აღმართა და სიხარულის ყიჟინაც დასცეს რკინიგზელებმა. გულში ჩახუტებული დაბრუნეს მოედანზე, სამახსოვრო სურათებიც ბლომად გადაიღეს, უმცროს ქომაგებს მაისურები გადაუყარეს, რატომღაც საპატიო წრეზე აღარ შემოურბენიათ და ნადავლი გასახდელში ჩაიყოლეს. წაიღო „ლოკომოტივმა“ დავით ყიფიანის სახელობის თასი, რომელსაც ფინალის ორგანიზატორებისა და მონაწილეებისაგან ცოტა მეტი დაფასება ეკუთვნოდა.

რკინიგზელებმა ფედერაციის მიერ დაწესებული 10 ათასი ლარიც შეირგეს და სანადიმოდ გასწიეს.

„ლოკომოტივი“ მოგებულ ფინალს ხარობს

ქუთაისის ტორპედო. საქართველოს 2002 წლის ჩემპიონი

დგანან: ხვადაგიანი, მახვილაძე, თოდუა, დიდავა, იონანიძე, ქემოკლიძე, სტურუა. სხედან: აბრამიძე, პოროშინი, ასათიანი, ჭელიძე